# საქართველოს რესპუბლიკა




დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 14 თებერვალი, 2015 წელი.

№29 (7674)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## ხელისუფლება წინამორბედის ლექსიკით ალაპარაკდა? 3

## ნაკურთხი პრემია, ნასამართლევი პირები მერიაში და... ალენ დელონი 4

## საჰაკაშვილმა 330 ათასი გრივნის ღირებულების „ROLEX" შეიძინა 8

## კრედიტების ნაწილი გაძვირდება, ლარი კი ცოტა სულს მოითქვამს?! 5



## საიდან ამდენი მეორადი ტანსაცმელი? 5

### ქვეითაძის სტკივთხავი 6



ლეილა მესხი:

## ინგლისურის მასწავლებელი



## პაატა ბურჭულაძე მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი გახდა

**პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მსოფლიო ბანს და მის უცხოელ სტუმრებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 12 თებერვალს უმასპინძლა.**

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომათა დარბაზში შეკრებილ სტუმრებსა და იუბილარს მისასალმებელი სიტყვით აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ მიმართა და პაატა ბურჭულაძეს საპატიო აკადემიკოსის დიპლომი და აკადემიის წევრის სამკერდე ნიშანი გადასცა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა მსოფლიო ბანს წარმატებები უსურვა; მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა აღნიშნა, რომ პაატა ბურჭულაძე მეცნიერებათა აკადემიის მეშვიდე საპატიო წევრი გახლავთ, მსოფლიო პატრიარქის ბართოლომეოს I-ის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის, საფრანგეთის აკადემიის წევრის ელენ კარერ დ'ანკოსის, მწერალ ჭაბუა ამირეჯიბისა და მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის შემდეგ. აკადემიკოსმა გუჩა კვარაცხელიამ პაატა ბურჭულაძეს საკუთარი ხელით შესრულებული ნახატი საჩუქრად უძღვნა. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომათა დარბაზში მილოცვები არ წყდებოდა როგორც მოწვეული სტუმრების მხრიდან, ასევე მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა და თანამშრომლებისაგან.

გარდა იმისა, რომ პაატა ბურჭულაძე მსოფლიოში აღიარებული ბანია, უამრავ ქველმოქმედებას ეწევა როგორც საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას" მეშვეობით, ასევე მახათას მთაზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობის საქმეში შეტანილი დიდი წვლილით; უნდა ითქვას, რომ მეცნიერებათა აკადემიასაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ამ საშვილიშვილო საქმეში. იმავე დღეს პაატა ბურჭულაძე და მისი სტუმრები საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქოს რეზიდენციაში მიიღო და იუბილარს წმინდა გიორგის სახელობის ორდენი გადასცა.

## პაატა ბურჭულაძის კონცერტის ორგანიზატორმა ბოდიში მოიხადა

**პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოწყობილი კონცერტის ორგანიზატორმა, სახელოვნებო ინდუსტრია „არტ პალასის" პრეზიდენტმა გია ანდღულაძემ მაყურებელს შენობაში შესვლისას შექმნილი შეფერხების გამო ბოდიში მოუხადა.**

გია ანდღულაძემ მაყურებლებს ბოდიშით სცენიდან მიმართა, რასაც დარბაზიდან უკმაყოფილო შეძახილები მოჰყვა. გია ანდღულაძე იძულებული გახდა, ბოდიში არაერთგზის მოეხადა.

**„დაუვიწყარი საღამო გელოდებათ წინ და ხასიათს ნუ გაიფუჭებთ",** — მიმართა მან მაყურებელს და აღნიშნა, რომ მათ გულწრფელად უბოდიშებს, რის შემდეგაც დარბაზში აპლოდისმენტები გაისმა.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციას უმოკლეს დროში მოახდენს

**საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტ, ნორბერტ ლამერტს შეხვდა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, საგარეო საქმეთა მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ჩამოყალიბებულ მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობებს.

**„ეს ვიზიტი გერმანიის მკაფიო და მყარი მხარდაჭერის დემონსტრირებაა. გერმანიის ბუნდესტაგი კონკრეტული ნაბიჯებისთვის მზად არის, მათ შორის, ასოცირების ხელშეკრულების დროული რატიფიკაციისთვის. ჩვენ ასევე ვისაუბრეთ, გერმანიის ბუნდესტაგში საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მხარდაჭერის მიმართულებით გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებზე. გერმანიის მხრიდან არის მზაობა, გააქტიუროს პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის ყველა ინსტრუმენტები“,** — აღნიშნა თამარ ბერუჩაშვილმა.

ნორბერტ ლამერტმა, თავ კიდევ ერთხელ დაადასტურა გერმანიის როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მზაობა, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. მან აღნიშნა, რომ ბუნდესტაგი, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, დაასრულებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციას.

ამის გარდა, შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო გერმანიის პარლამენტის მიერ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდამჭერი რეზოლუციის მიღების საკითხს. ბუნდესტაგის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმები საქართველოში სწორი დინამიკით ხორციელდება და პროცესი არ უნდა შენელდეს.

# ხელს ნუ შეუწყობთ საზოგადოების გახრწნის მცდელობას!

## ზურაბ ჟვანიას თანამებრძოლების, მეგობრებისა და დაცვის წევრების საგანგებო მიმართვა

ექს-პრემიერ ზურაბ ჟვანიას ახლო მეგობრებმა, პარტიულმა თანამეგობრებმა და დაცვის ყოფილმა წევრებმა გუშინ „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე საგანგებო ბრიფინგი გამართეს და მიმართვა გაავრცელეს.

**„ჩვენ, ზურაბ ჟვანიას მეგობრები, მივმართავთ ქართულ საზოგადოებას, პრესას, საგამომძიებლო ორგანოებს — ის, რაც ზურაბ ჟვანიას სახელის ირგვლივ ხდება, არის სრულიად შეუწყნარებელი და შეურაცხმყოფელი არა მარტო და მისი ოჯახის წევრებისათვის, არამედ ჩვენთვის მთელი საზოგადოებისათვის.**

**დეგრადირებული და ზნეობისგან სრულიად დაცლილი მარგინალების ერთი ჯგუფი განუწყვეტლივ წამლავს, ცილს სწამებს და სიცრუეში ამყოფებს ჩვენს საზოგადოებას.**

**მოგმართავთ ჟურნალისტებს, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს — ნუ ახდენთ ამ სიცრუისა და სიბინძურის საჯარო ტირაჟირებას, ნუ უწყობთ ხელს უზნეობის, ბოროტების დანერგვასა და საზოგადოების გახრწნის მცდელობას.**

**გამოვთქვამთ რწმენას და იმედს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა დროულად გამოიძიებს 2005 წლის 3 თებერვლის ღამეს მომხდარ მკვლელობას და ამით წერტილს დაუსვამს საზოგადოებაში ბინძური ინსინუაციების ტირაჟირებას.**

**ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს სპეკულაციები, ზემოქმედების მცდელობა გარდაცვლილის ოჯახზე და გამოძიებაზე ყალბი თუ რეალური საგამოძიებო მასალების ფრიალი, მიცვალებულების შეურაცხყოფა და კომპრომეტირება, ოჯახზე და შვილებზე მორალური ზეგავლენა.**

**რაც შეეხება მარგინალებს — კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, არც ერთი თქვენი ქმედება ჩვენი მხრიდან უპასუხოდ და დაუსჯელი არ დარჩება“,** — ნათქვამია განცხადებაში.

**დიანა ლიპარტელიანი**

# მეცნიერებს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია გააცნეს

**სოფლის მეურნერობის მინისტრმა ოთარ დანელიამ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია გააცნო.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, ღონისძიებას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო აკადემიის, აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**„2015-2020 წლების სტრატეგია მოიცავს ყველა იმ ძირითად მიმართულებას, რომელმაც დარგის ეფექტიან და მდგრად განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. მისასალმებელია, რომ აღნიშნული სტრატეგიის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართული მეცნიერები და დარგის სპეციალისტები. ამან საშუალება მოგვცა, შეგვემუშავებინა სტრატეგია, რომელიც საქართველოში სოფლის მეურნეობის სწორი მიმართულებით განვითარებას შეუწყობს ხელს“,** — აღნიშნა ოთარ დანელიამ.

როგორც მინისტრმა განაცხადა, საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა.

მინისტრის თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი.

## ◉ ინფორმაცია

### ლიდერის შეცვლის საკითხი არ დგასო!

**დეპუტატი გია ვოლსკი აცხადებს, რომ მმართველი გუნდის წევრებს შორის შექმნილი უთანხმოების გამო არც ზაქარია ქუცნაშვილის „ქართული ოცნებიდან„ გარიცხვის და არც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის შეცვლის საკითხი არ დგას.**

**როგორც ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, ფრაქცია „ქართული ოცნების„ დღევანდელ სხდომაზე მხოლოდ იმ კრიტერიუმებზე ისაუბრებენ, რაც სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული და, რასაც დეპუტატებს შორის უთანხმოება მოჰყვა.**

**რაც შეეხება უშუალოდ მმართველი გუნდის ნაწილსა და დავით საგანელიძეს შორის შექმნილ უთანხმოებას, გია ვოლსკის თქმით, ის იზიარებს ზაქარია ქუცნაშვილის და სხვა კოლეგების მოსაზრებას, რის გამოც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაზე მე-20 ხელმომწერი იქნებოდა.**

**„არაკოორდინირებული ცოტა მძიმე ნათქვამი მგონია, მაგრამ რაღაც თემები არსებობს, რომელზეც მეტი ურთიერთობა და კომუნიკაციაა საჭირო. ალბათ ეს იმანაც განაპირობა, რომ ზოგიერთი დეპუტატი აქ არ იყო, პოლიტსაბჭოს ბოლო სხდომაც ისე ჩატარდა, რომ რამდენიმე წევრი არ ვიყავით საქართველოში. თუმცა ყველაფერი მოგვარებადია. ვფიქრობთ, ცოტა უტრირებულიცაა ის პრობლემები, რომლებზეც მედიაშია საუბარი.**

# „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“ დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ადასტურებს, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2014 წლის ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშების ირგვლივ გამოძიება მიმდინარეობს.**

**ამასთან, უწყებაში არ აკონკრეტებენ, დააკავეს თუ არა, წყალმომარაგების კომპანიის ყოფილი მთავარი ბუღალტერი თამარ ფხოველიშვილი.**

როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ფინანსური და ბუღალტრული ანალიზისას, დაფიქსირდა გარკვეული შეუსაბამობები, რის თაობაზეც კომპანიის ხელმძღვანელობამ საქმის კურსში ჩააყენა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

„სამინისტრომ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლა საქმე და, შემდგომი რეაგირებისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ დეპარტამენტს გადაუგზავნა. ამ დროისთვის მიმდინარეობს გამოძიება და მის დასრულებამდე ამ თემასთან დაკავშირებით, რაიმე ტიპის განცხადების გაკეთება მხოლოდ გამოძიების პროცესზე ზემოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს“, — აცხადებენ სამინისტროში.

ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფო სახსრების დიდი ოდენობით — ორ მილიონზე მეტი ლარის გაფლანგვის ბრალდებით, დააკავეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის„ ყოფილი მთავარი ბუღალტერი, ამჟამად სატყეო დეპარტამენტის თავჯდომარის მოადგილე თამარ ფხოველიშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური თამარ ფხოველიშვილის დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

ნაციონალური მოძრაობის მიერ თამარ ფხოველიშვილის დაკავებაზე ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, „ინტერპრესნიუსი“ სამივე საგამოძიებო ორგანოს დაუკავშირდა, სადაც გავრცელებული ინფორმაცია არ დაადასტურეს.

# ექსპორტის კლება, უმთავრესად, რუსეთსა და უკრაინაში შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვიაო

**საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით, ექსპორტის კლება, უმთავრესად, რუსეთსა და უკრაინაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია.**

**როგორც ეკონომიკის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული საქართველოს საგარეო ვაჭრობის 2015 წლის იანვრის თვის ექსპორტის წინასწარი მაჩვენებლები განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საგარეო ფაქტორით.**

„შემოსავლების სამსახურის დეკლარაციების მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, ექსპორტის გარკვეულ სეგმენტში კლება უმთავრესად გამოიწვია მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ რუსეთსა და უკრაინაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ. ეს გახდა იმის სერიოზული ფაქტორი, რომ ამ ორი ქვეყნის ბაზარზე იანვრში საქართველოდან ღვინის, სპირტიანი სასმელების, მინერალური წყლებისა და ციტრუსის ექსპორტი მკვეთრად შემცირდა. ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ზოგადად ექსპორტი ევროკავშირში 21%-ით და 8.5 მილიონი დოლარით გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა ისეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციებზე, როგორებიცაა: თხილი და კაკალი — (გაიზარდა 100% და 49.4 მილიონით). ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირის ქვეყნებში, როგორიცაა იტალია, სადაც გაიზარდა 46 მლნ-ით, გერმანიაში 44.4 მლნ-ით და ესპანეთში 41.1 მლნ-ით. ასევე, ევროკავშირის ქვეყნების ხარჯზე გაიზარდა ხილისა და ბოსტნეულის წვენები — ზრდამ 54% შეადგინა. ასევე, ზრდა ფიქსირდება მწვანილის ექსპორტზე ევროკავშირის ქვეყნებში და უკრაინაში — აღნიშნული პროდუქციის ზრდამ საერთო ჯამში შეადგინა 60% თანაბარი ზრდის წილით. ზრდა დაფიქსირდა ასევე თევზის ექსპორტზე (169%-ით)“, — ნათქვამია ეკონომიკის სამინისტროს განცხადებაში.

რაც შეეხება ექსპორტის კლებას, უწყების ინფორმაციით, ეს ძირითადად გამოწვეულია ღვინის (65%), სპირტიანი სასმელების (87%), მინერალური წყლებისა და ციტრუსის ექსპორტის კლებით, რის მიზეზსაც, თავის მხრივ, რუსეთის და უკრაინის ბაზრებზე მათი ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება წარმოადგენს.

„2015 წლის იანვარში სამრეწველო პროდუქციის ექსპორტმა, მანქანების რეექსპორტის გამოკლებით, 65 მილიონი დოლარი შეადგინა. ექსპორტის კლება, ძირითადად, გამოწვეულია აზოტოვანი სასუქების ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირებით. მიუხედავად კლებისა, სამრეწველო პროდუქციიდან ზრდა დაფიქსირდა საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან პროდუქციებზე, როგორებიცაა: ოქრო (32%-ით მეტი), მამაკაცის ტრიკოტაჟის ნაწარმი (9%), წნელები ნახშირბადიანი ფოლადისგან (42% და 41.1 მლნ.-ით მეტი) და ნედლი ნავთობი (35% და 41.1 მლნ-ით მეტი). ექსპორტის კლება დაფიქსირდა ფეროშენადნობებზე. მნიშვნელოვნად შემცირდა აზოტოვანი და ნახშირბადიანი ფოლადის ნახევარფაბრიკატების ექსპორტი“, — ნათქვამია ეკონომიკის სამინისტროს განცხადებაში.

## ◉ მკითხველის წკეპლიკა

# ჯაჯანიძის რაკურსებიღა გვაკლდა

**ქურდს რა უნდა, ბნელი ღამეო, ისეა სწორედ ზოგიერთი ჩვენი ტელევიზიის საქმე. აქაოდა ახალი ხელისუფლება ლიბერალური დემოკრატიის გზას ადგასო, ეს ზოგიერთი ტელევიზია (იქნებ უმეტესობაც!) ანტიქართულ თუ ანტისახელმწიფოებრივ რიტორიკულ თავსხმაში გვამყოფებს ყოველდღიურად იმის იმედით, რომ არც დამშლელია ვინმე და არც მიმთითებელი.**

„რუსთავი-2“-ის წამხედურობით, თხა თხაზე ნაკლები მგელსაც შეუჭამიაოს პრინციპით, ბევრი არხი პირდაპირ გარუსთავორდა ანდა სულ იმის ცდაშია, როგორმე ირუსთავოროს და სასიცოცხლო ჟანგბადის ნაცვლად იდეოლოგიური შხამი ანთხიოს ისედაც შეჭირვებულ და ცხოვრებისგან გაოგნებულ ჩვენს საზოგადოებრიობას.



ამჯერად, როგორც ჩემდა, ისე ბევრის გასაოცრად, „იმედის“ არხზე ვლაპარაკობ. გრიგოლიას თვალსაჩენად ავად ტენდენციურ „რეაქციას“ და „იმედის კვირაზე“ აღარას ვამბობ, ახლა ქართველი მაყურებლისთვის ჯერ კიდევ „მზიდან“ არცთუ კეთილად ნაცნობი ჯაჯანიძეც მიემატა თავისი „სხვა რაკურსით“, რამაც გულისრევა დაგვმართა ხუთშაბათ საღამოს.

ნამდვილად საწყენი და დასანანია, რომ ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის „იმედი“, რომელიც აგრერიგად გამოირჩეოდა თავისი მებრძოლი ეროვნული სულისკვეთებით, ამჟამად, ხშირ შემთხვევაში, დიდად სამწუხაროდ, უიმედობის დამნერგავად იქცა და ისეთ ადამიანებს ჩაუვარდათ ხელში, რომელთაც, დიდი ჰონორარებით გაზულუქებულთ, როგორც ჩანს, სულ არ ანაღვლებთ ქვეყნის ბედი და, შავ სენსაციურ ამბებს გამოდევნებულნი, მეორედ მოსვლის, უფრო სწორად, აპოკალიფსურ განწყობილებას უქმნიან მაყურებელს.

„რუსთავი-2“-ის პატრონები ვინც არიან და რა მიზანიც აქვთ, კარგად ვიცით, ნუთუ „იმედის“ პატრონებიც იმავე გზას ადგანან და ისევე, ანუ ნაციონალურად ესმით არხის სარედაქციო დამოუკიდებლობა“?!.

**ბადრი იმედაშვილი,**
**ქ.რუსთავი.**

ექსპერტები და მედიასაშუალებები

# ხელისუფლება წინამორბედის ლექსიკით ალაპარაკდა?

**თავდაცვის სამინისტროს ირგვლივ სკანდალი არ წყდება. ამჯერად საქმე ეხება უწყების მიერ მიღებულ ახალ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით, თავდაცვის სამინისტრო შპს „ქართულ კვებასთან“ კონტრაქტს წყვეტს. შესაბამისად, კომპანიაში მომუშავე 300 ადამიანი სამსახურის გარეშე რჩება. ამასთან, რამდენადაც for.ge-სთვის გახდა ცნობილი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს, იძულების წესით დააწერინეს განცხადება გადადგომის შესახებ. რაც შეეხება „ქართული კვების კომპანიას“, მას 15 თებერვლიდან ახალი ბიზნესსუბიექტი შეცვლის. როგორც „ქართული კვების“ კომპანიის დირექტორი მირანდა მანჯგალაძე აცხადებს, ეს არის სრულიად ახალი ბიზნეს-სუბიექტი, რომელიც ფუნქციონირებას ახლა იწყებს.**



თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ ბოლო დღეებში თავდაცვის სამინისტროს მიმართ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს. მინდია ჯანელიძე აქვე ამბობს, რომ განსაკუთრებით რამდენიმე ე.წ. ექსპერტი და მედიასაშუალება აქტიურობს. სინამდვილეში კი სამინისტროში პროცესები მიდის გეგმის მიხედვით.

**„არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. იყო საკადრო ცვლილებები, მაგრამ ყველა საკადრო ცვლილებასთან დაკავშირებით ჩვენ საზოგადოებასაც მივცემთ განმარტებას და შესაბამისად, იმის არგუმენტები გვაქვს, რატომ განვახორციელოთ ესა თუ ის ცვლილებები. საკადრო ცვლილებები შესაძლოა, მომავალშიც განხორციელდეს იმისთვის, რომ ის მდგომარეობა, რაც სამინისტროში დაგხვდა, თანდათანობით გამოსწორდეს, მენეჯმენტი გაუმჯობესდეს და მთელი რიგი პრობლემები მოგვარდეს“,** — აცხადებს ჯანელიძე.

ჯანელიძე ამბობს, რომ თავდაცვის სამინისტროში საკადრო ცვლილებები იმის მიხედვით არ განხორციელდება, ვინ ახალი კადრია და ვინ ძველი — საკადრო ცვლილებები განხორციელდება იმის შესაბამისად, უწყების რომელი სტრუქტურა საჭიროებს ეფექტურობის გაზრდას.

თავდაცვის სამინისტროს საკადრო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მიმდინარე კამპანიას ანტისახელმწიფოებრივ კამპანიად აფასებს თავად პრემიერ-მინისტრი. ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ეს არის მიზანმიმართული შეტევა ჯარის წინააღმდეგ.

**„ის, რაც ხდება ბოლო პერიოდში, არის მიზანმიმართული შეტევა სამართალდამცავ ორგანოებზე — თავიდან დაიწყეს პოლიციაზე შეტევით, ახლა კი გადავიდნენ ჯარზე. ეს არის პირდაპირ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. ამას სჭირდება ძალიან კარგი გაანალიზება და სწორი შეფასება, როგორც პოლიტიკოსების, ისე საზოგადოების მხრიდან. ყოვლად დაუშვებელია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების ამგვარ დისკრედიტაციის მცდელობას ჰქონდეს ადგილი“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ღარიბაშვილი აქვე აანონსებს, რომ ყველას ვინც ამას სჩადის, ადრე თუ გვიან, სათანადო პასუხი გაეცემა. მისი თქმით, გამოკვეთილია და სახეზეა ყველა ის პირი, ვინც ამას ღიად და დაუფარავად სჩადის.

თავად ჯანელიძე, რომელიც მედიასაშუალებების კრიტიკის მიზეზი გახდა, არ აკონკრეტებს, რა ნიშნით შეარჩია ვალერი ზუმბაძე და რობერტ გრიგალაშვილი თანამდებობაზე.

**„საზოგადოებაში ამ საკითხებმა ძალიან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ხშირ შემთხვევაში, ვხედავთ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას. აქ უბრალოდ, საჭიროა, დაველოდოთ სამართლებრივი პროცესის შედეგებს და ამის შემდეგ ვიმსჯელოთ ყველაფერზე. სანამ არ იქნება სამართლებრივი პროცესი დამთავრებული, თავი შევიკავოთ ამ თემაზე საუბრისგან“,** — ასეთია თავდაცვის მინისტრის პოზიცია.

შეგახსენებთ, რომ თავდაცვის სამინისტროს გენინსპექციის ყოფილმა უფროსმა ვალერი ზუმბაძემ და სამხედრო ინსპექციის უფროსის ყოფილმა მოადგილემ რობერტ გრიგალაშვილმა თანამდებობები საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვეს. ამის მიზეზი კი მათი შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში მოღვაწეობა გახდა. კერძოდ, ისინი საქართველოში ჯაშუშების ქსელს იკვლევდნენ. საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრებად აღიარებულმა ე.წ. ჯაშუშებმა ყოფილი მაღალჩინოსნები უკანონო ქმედებაში ამხილეს.

დამოუკიდებელი ექსპერტის ზაალ ანჯაფარიძის განცხადებით, აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები წარსულში გარეული იყვნენ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში, რამაც გამოიწვია ის კრიტიკული შენიშვნები ახალი თავდაცვის მინისტრის საკადრო პოლიტიკის მიმართ.

**„ამ ადამიანებმა ღირსეული ნაბიჯი გადადგეს, დატოვეს თანამდებობა, რადგან საზოგადოებაში მათ მიმართ არსებობდა კითხვები. აქედან გამომდინარე, ჩემთვის პირადად მიუღებელია და გაუგებარია პრემიერ-მინისტრის ასეთი ხისტი ტონით მიმართვა საზოგადოებისადმი და ასეთი შეფასება, რომ თითქოს, იმის გამო, რომ ვიღაცა კრიტიკას გამოთქვამს თავდაცვის სამინისტროს საკადრო პოლიტიკის მიმართ, ეს არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება.**

**სამწუხაროდ, მას ეს პირველად არ მოსდის. პრემიერმა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში დაადანაშაულა ის ადამიანები, ვისაც საკუთარი მოსაზრება ჰქონდა მოსმენების კანონთან დაკავშირებით. არ შეიძლება ადამიანი დაადანაშაულო ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში, თუ მას გააჩნია საკუთარი მოსაზრება რაღაც საკითხზე, თუნდაც საკადრო დანიშვნებზე. ეს ადამიანები რომ გადადგნენ თანამდებობიდან, ეს უკვე არის იმის ინდიკატორი, რომ მათ როგორც ჩანს, აქვთ გარკვეული უხერხულობა. მათ რომ ჰქონოდათ აბსოლუტური სუფთა ბიოგრაფია, გარწმუნებთ, რომ არც ერთი მათგანი თანამდებობიდან არ წავიდოდა“,** — აცხადებს ანჯაფარიძე.

პრემიერ-მინისტრს ლექსიკას უწუნებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე და აცხადებს, რომ საქმე გვაქვს სახელმწიფოს მართვის გამოუცდელობასთან, რაც არაერთხელ გამოვლინდა ბევრი ხელისუფლების და მათ შორის, ამ ხელისუფლების მმართველობაში.

**„ყველა ქვეყანაში ძალოვან სტრუქტურებში ადამიანები დიდი ფილტრის გავლით ინიშნებიან და ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო. იმიტომ, რომ საკადრო პოლიტიკა ამ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ფაქიზი საკითხია. მით უმეტეს აღნიშნული პიროვნებების წარსულის გარკვევა არ ითხოვდა დიდ ძალისხმევას. ჟურნალისტების დონეზე ირკვევა რაში და როგორ ღებულობდნენ ეს ადამიანები მონაწილეობას.**

**რა თქმა უნდა, ხმამაღალი ბრალდებაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ალასანიას განცხადება — პროამერიკული კადრების გათავისუფლების თაობაზე, რაზეც მთელი მსოფლიო, ლამის, ფეხზე დადგა, მართლა იცვლის თუ არა საქართველო კურსსო. მაშინ მომეჩვენა, თვითონ ალასანიაც მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა. მერე, უკვე, ამ საკითხზე განმარტებები არ გაუკეთებია. მე მგონია, რომ ამ თვალსაზრისით არის ნათქვამი ეს ფრაზა ღარიბაშვილის მიერ, რომ ეს ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება. მაგრამ ასეთი ფრაზის თქმას, ჯობია, მცირე ხნით მოცდა“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

**თამთა ქარჩავა**

ქართველ მკვლევართა მაღალი სამეცნიერო შედეგები

# კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთავარ გამოცემას — ჟურნალ „მოამბეს“ საერთაშორისო სამეცნიერო ინდექსიფიკატორმა (International Scientific Indexing ISI) მაღალი დონის „იმპაქტ ფაქტორი“ მიანიჭა. 2012-13 წლებისთვის საერთაშორისო სერტიფიკატით ჟურნალ „მოამბეს“ ჰქონდა 3.520 ნიშნის „იმპაქტ ფაქტორი“ ხოლო 2014 წლისთვის - უკვე 3.849.** ეს მაჩვენებელი აღნიშნულ გამოცემაში გამოქვეყნებული მასალების თუ სტატიების მაღალი კვალიფიკაციის, სამეცნიერო ღირებულებისა და ორიგინალურობის დამადასტურებელია.

მკვლევრებმა კარგად იციან, რომ ჩვენს საუკუნეში სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგიანობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ავტორთა ნამუშევრების მოხსენიებას სამეცნიერო ციტირების წამყვან კომერციულ ცენტრებში. საერთაშორისო პრაქტიკა დღეს უპირატესად ეყრდნობა მონაცემთა ორ ბაზას — Web of Science და Scopus. იმისათვის, რომ ავტორს ჰქონდეს ციტირების მაღალი ინდექსი, აუცილებელია სწორედ ამ ბაზების მიერ ინდექსირებულ გამოცემებში ნაშრომთა გამოქვეყნება.

სამეცნიერო ჟურნალების ციტირებათა საზომი — იმპაქტ ფაქტორი (გავლენის კოეფიციენტი, **იფ)** წარმოადგენს განმსაზღვრელ კომპონენტს ამა თუ იმ დარგის ჟურნალის სამეცნიერო ღირებულებისა და ხარისხის შეფასების დროს, ხოლო მეცნიერისთვის მნიშვნელოვანია მისი კვლევის შედეგები გამოაქვეყნოს წამყვან, კოლეგებისთვის ადვილად ხელმისაწვდომ გამოცემაში. ასევე, მსოფლიოს წამყვანი ბიბლიოთეკებიც ჟურნალების შერჩევისას სწორედ იმპაქტ ფაქტორს ითვალისწინებენ. **ჟურნალის წლიური იმპაქტ ფაქტორის დაანგარიშება ხდება** მიმდინარე წელს ინდექსირებული ჟურნალების მიერ განსახილველ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ციტირებათა რიცხვის ამავე ჟურნალში ბოლო ორი წლის განმავლობაში განთავსებული სტატიების ჯამურ რაოდენობაზე გაყოფით. ამგვარ კოეფიციენტს რამდენიმე მეცნიერებამეტრული ორგანიზაცია ანგარიშობს, მათ შორის საყოველთაოდ მიღებულია იფ, რომელსაც აქვეყნებს სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტი (**Institute for Scientific Information, ISI**). ეს ინსტიტუტი 1992 წელს შეიძინა კორპორაცია ტომსონ-როიტერსმა (Thomson-Reuters) და დღეს მას „Thomson Scientific“ ეწოდება; ეს იმპაქტ ფაქტორები ყოველწლიურად იბეჭდება ჟურნალში „Jurnal Citation Report“ **(JCR)**“. საქართველოდან მსოფლიოს 10 ათასამდე სხვა ჟურნალთან ერთად მის სიაში შესულია: „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“ — **Georgian Mathematical Journal, 2013 წლის იფ=0.340,** რომელიც დაარსებულია <u>საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის</u> და რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მიერ, აგრეთვე „ჰომოტოპიის და მსგავსი სტრუქტურების ჟურნალი“ — **Journal of Homotopy and Related Structures,** 2013 წლის **იფ=0.238,** რომელსაც ერთობლივად გამოსცემდნენ მათემატიკურ მეცნიერებათა თბილისის ცენტრი და ლონდონის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სამეცნიერო ჟურნალებში ციტირებების შესაფასებლად სულ უფრო ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს სამეცნიერო ლიტერატურის ერთ-ერთი უმსხვილესი გამომცემლობის Elsevier (გამოსცემს 2000-მდე სამეცნიერო ჟურნალს; სულ კი სამ უმსხვილეს გამომცემლობაზე — Elsevier, Springer, Wiley — მოდის მსოფლიოს სამეცნიერო პუბლიკაციათა 40%-ზე მეტი) 2004 წელს დაარსებული მსოფლიოს უდიდესი მეცნიერებამეტრული პლატფორმა Scopus (ამ ბაზაში შესულია აგრეთვე Web of Science-ის ყველა წამყვანი ჟურნალი), რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია და გვაძლევს ჟურნალების ნორმირებულ მაჩვენებლებს SJR-ს, სადაც მხედველობაში მიღებულია საგნობრივი სფერო, აგრეთვე პუბლიკაციები სხვადასხვა კრებულებში და ჩვეულებრივად სწორედ მას მიუთითებენ სამეცნიერო ანგარიშებში.

ძალზე სასიამოვნოა, რომ ჩვენი აკადემიის „მოამბეს“ უკვე ვხედავთ დაახლოებით 0,2-ის ტოლი მაჩვენებლებით სკოპუსის SJR ჩამონათვალში „საქართველოს მათემატიკური ჟურნალის“ და „საქართველოს სამედიცინო ჟურნალის“ გვერდით; აღსანიშნავია, რომ ამ სამივე ჟურნალის მთავარი რედაქტორები ჩვენი აკადემიის ნამდვილი წევრები გიორგი კვესიტაძე, ივანე კილღურაძე და ლავრენტი მანაგაძე არიან.




დადებითი ძვრებია აგრეთვე ქართველ მეცნიერთა ნაშრომების სკოპუსის სიაში შესულ გამოცემებში ციტირების თვალსაზრისითაც: თუ 2002 წელს ციტირებული იყო სულ 300-მდე ასეთი ნაშრომი, 2013 წელს მათმა რაოდენობამ უკვე 8009-ს მიაღწია; ამ ნაშრომების 60%-მდე უცხოეთის მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობის და წამყვან ჟურნალებში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების შედეგია.

შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო სამეცნიერო ინდექსიფიკატორმა (International Scientific Indexing, International Scientific Indexing, ISI) აკადემიას მოაწოდა სერტიფიკატი, რომლის თანახმად აკადემიის „მოამბე“ დღეს 3.8 ქულით საკმაოდ მაღალ ადგილზე იმყოფება.

აღნიშნული პოზიტიური შედეგები და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების შრომების მაღალი შეფასებები მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ, რომელიც ადასტურებს, რომ მიუხედავად რთული სოციალური პირობებისა, ჩვენი მკვლევართა სამეცნიერო შედეგები უკანასკნელი წლების განმავლობაში პერმანენტულად იზრდება და იგი მსოფლიო მოწინავე სამეცნიერო სარბიელზე საპატიო ადგილს იმკვიდრებს.

**ირაკლი ჟორდანია,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.**

**შაბათიდან შაბათამდე**

# ნაკურთხი პრემია, ნასამართლევი პირები მერიაში და... ალენ დელონი

**„10 ათას 500 ლარი სოციალურად დაუცველებისათვის და 193 ათას 400 ლარი პრემიებზე. საჯარო სამსახურებში გაცემული პრემიები და მათი ოდენობა განხილვის თემა არაერთხელ გამხდარა, თუმცა, ამჯერად ჩვენი ყურადღება კახეთში მომხდარმა ერთმა განსაკუთრებულმა შემთხვევამ მიიპრო. „პრემია ნაკურთხია პატრიარქის მიერ“ — ეს ფრაზა ჩვეული კახური იუმორის ნაწილი არ გეგონოთ, ეს საკრებულოს სხდომაზე ნათქვამი არგუმენტია, რომლითაც „ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატი საახალწლოდ გაცემულ პრემიებზე დავის შეწყვეტას შეეცადა. ამ შინაარსის დავა გურჯაანის საკრებულოს სხდომაზე კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გადაიღო — 10 თებერვალს გავრცელებულმა ამ ინფორმაციამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგი იცინოდა, ზოგი აღშფოთებული ილანძღებოდა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ რადიო „საქართველოს ხმის“ გადაცემა „პრეს-რევიუში“ სტუდიის ტელეფონი ფაქტობრივად „აფეთქდა“. საოცარი იყო „ღვთისმოშიში“ საკრებულოელის განმარტება. „მე მხედველობაში მქონდა, რომ პატრიარქის მიერ როგორც ჯარისკაცის სამსახურია ნაკურთხი, ისე საჯარო სამსახურია-მეთქი. ამის თქმა მინდოდა, შეიძლება განერვიულებული ვიყავი და რაღაც ისე ვერ ვთქვი. ნამდვილად არ მიგულისხმია, რომ პრემიაა ნაკურთხი“,** — განაცხადა დეპუტატმა ზაქარია ქაჩლიშვილმა ნეტგაზეთთან საუბარში.

ვერაფერს იტყვი. რკინის ლოგიკაა, არადა, მე, ცოტა სკეპტიკოს კაცს, ორი შეკითხვა გამიჩნდა: 1. როგორ მოიქცეოდა ნებისმიერი ევროპული ქვეყნის ელექტორატი, მის რჩეულს მსგავსი განცხადებები რომ გაეკეთებინა? 2. როგორ მოხვდნენ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ადამიანები, რომლებიც რაღაცას ისე ვერ ამბობენ (ეს არა მხოლოდ ადგილობრივ არჩეულ ორგანოებს ეხებათ, უფრო ზემოთაც არიან არაადეკვატურად მოსაუბრენი)?

იმავე დღეს მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელმა ლევან ხაბეიშვილმა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **„თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ტყემალაძემ 5 თვის განმავლობაში 4 ტონა ბენზინი დახარჯა. გამოდის, რომ ბატონი ტყემალაძე დღეში 22 ლიტრ ბენზინს მოიხმარდა. აღსანიშნავია, რომ ამ ადამიანს ემსახურება ავტომობილი „KIA“, რომელიც იმიტომ შეარჩიეს, რომ ნაკლებ საწვავს მოიხმარს. გამოდის, რომ ეს ადამიანი დღეში 200 კილომეტრს გადიოდა, რაც საკრებულოს დეპუტატისთვის არარეალურია“.**

## მდააა... მეტს ვერაფერს ვიტყვი

**„რუსთავი-2“ საკუთარ თავსაც კი „გადაახტა“ და გიორგი გაბუნიამ თავისი „არჩევანი“ ყოფილ მთავარ პროკურორ მალხაზ ზოდელავასთან ერთად „ავგიას თავლად“ აქცია. ამ ამაზრზენ კამპანიასთან დაკავშირებით ექს-პრემიერ ზურაბ ჟვანიას ახლო მეგობრებმა და დაცვის ყოფილმა წევრებმა, „რეპორტიორის“ პრესკლუბში საგანგებო ბრიფინგი გამართეს და მიმართვა გაავრცელეს:**

**„ჩვენ, ზურაბ ჟვანიას მეგობრები მივმართავთ ქართველ საზოგადოებას, პრესას, საგამოძიებო ორგანოებს — ის, რაც ხდება ზურაბ ჟვანიას სახელის ირგვლივ, არის სრულიად შეუწყნარებელი და შეურაცხმყოფელი არა მარტო ჩვენთვის და მისი ოჯახის წევრებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის.**

**ერთი ჯგუფი დეგრადირებული და ზნეობისგან სრულიად დაცლილი მარგინალებისა განუწყვეტლივ წამლავს, ცილს სწამებს და სიცრუეში ამყოფებს ჩვენს საზოგადოებას.**

**მოგმართავთ ჟურნალისტებს, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს — ნუ ახდენთ ამ სიცრუისა და სიბინძურის საჯარო ტირაჟირებას, ნუ უწყობთ ხელს უზნეობის, ბოროტების დანერგვას და საზოგადოების გახრწნის მცდელობას“.**

ალბათ, შეამჩნევდით, რომ საქართველოში ძალიან ბევრ ადამიანს სურს გახდეს ე.წ. „ცნობადი სახე“ და ამისათვის მზად არიან, ყველაფერზე წავიდეს. ზოგი შიშველ მკერდს აჩვენებს, ზოგი სიამაყით აცხადებს, „ეროვნული ბოზი ვარო“, ზოგი რას სჩადის და ზოგი — რას. საოცარია, მაგრამ ჩვენი ტელეგიგანტები ყველანაირად ცდილობენ, საზოგადოება დაარწმუნონ იმაში, რომ „ცნობადად გახდომისთვის“ სულაც არ არის საჭირო დაწერო კარგი ლექსი, შექმნა ფერწერული ტილო, გამოიგონო ახალი დანადგარი, ან უბრალოდ იყო შენი ქალაქისთვის, სოფლისთვის საყვარელი ადამიანი. უბრალოდ, უნდა გაშიშვლდე პირდაპირ ეთერში, მოყვე საკუთარ თავზე რაიმე სექსუალური ისტორია, განაცხადო არატრადიციული ორიენტაციის შესახებ, ანუ, მოკლედ რომ ვთქვა, სექსი და, რაც შეიძლება მეტი სექსი. ასევე ძალიან საინტერესოა თანამედროვე ქართული ლიტერატურის „შედევრები“. საკმარისია, ილადაო ეკლესიაზე, პატრიარქზე და ცოტა სექსიც გაურიო, რომ „მწერლის“ ტიტული გარანტირებული გაქვს.

პრინციპში მესმის იმ ე.წ. ტელეწამყვანების, რომლებიც თავიანთი გადაცემის რეიტინგზე ზრუნავენ. რატომაც არა? აბა, ვის აინტერესებს კარგი ვოკალური მონაცემებისა და ვიზუალის მქონე ახალგაზრდა მომღერალი. მისი წარსული და მომავლის გეგმები. ასეთ გადაცემას ხომ ძალიან მწირი გამოხმაურება ექნება, მაგრამ, თუ ინგა გრიგოლიას, გიორგი ჯაჯანიძის, ან ნანუკა ჟორჟოლიანის თვალით შევხედავთ გადაცემის თემის შერჩევას, დავინახავთ პრინციპს: **დაე, გვლანძღონ, ოღონდ გვიყურონ.**

ალბათ, ამის ბრალია ისიც, რომ ამ ბოლო დროს „რუსთავი-2“ და „იმედი“ აშკარად „დაეჯახნენ“ ერთმანეთს მსგავსი ტიპის „შოუებში“ სტუმრების ერთფეროვნებით. რაც შეეხება ბეჭდურ ეპატაჟს, მოედანი არც აქ ცარიელდება. რამდენიმე დღეა, გამოჩნდა ვინმე პუბლიცისტი ზურა ოდილავაძე, რომელსაც ძალიან სურს ცნობადი ადამიანების მარაქაში გარევა. ამისათვის მან თავისი ლეპტოპი მოიმარჯვა და „ნაწარმოები“ სათაურით **„ალენ დელონი ცხონდა! დედა ბოზი, მამა — მორფინისტი!“** გამოაცხო.

როცა ეს „ნაწარმოები“ წავიკითხე, „ღმერთო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულს-მეთქი!“ - ჩავილაპარაკე და ისევ ფეისბუქს დავუბრუნდი.

ალენ დელონზე იქაც კარგა გვარიანი შეხლა-შემოხლა იყო ამტყდარი. ზოგი აღფრთოვანებით იხსენებდა „როკოს და მის ძმებს“ თუ „ორნი ქალაქში“-ს. ზოგი კი, პირიქით, ირონიასა და ცინიზმს აფრქვევდა. მეორე კატეგორიის ხალხთან მიმართებაში ქართლოს კასრაძის ერთი მინიატიურა გამახსენდა, სადაც ვენერა მილოსელის ქანდაკების წინ მდგარი ქართველი ტურისტი ქალბატონი ბრაზით ამბობს: **„რა აქვს ახლა ამას ჩემზე უკეთესი, უბრალოდ ზურგი და ფეხები აქვს სწორი, სახე ლამაზი და ღიპიც არა აქვს. სხვა რითი მჯობია?“.**

საკმაოდ საინტერესო იყო ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული მასალებიც, რომელთა მიმართულება მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსის დაკავებამ განსაზღვრა.

**„რა დანაშაულებზე ნასამართლევი პირები მუშაობენ მერიაში?“ —** დასვა შეკითხვა გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტმა დიანა ლიპარტელიანმა და პასუხი მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ ხელმძღვანელის ლევან ხაბეიშვილისგან მიიღო. **„ბელა ჩივიაშვილი — სოციალური სამსახურის უფროსი. ხაბეიშვილის თქმით, ჩივიაშვილი 2011 წელს ჯანდაცვის სამინისტროში მუშაობისას სოციალურად დაუცველთა თანხების გაფლანგვის გამო, ორგანიზებული დანაშაულის ჩადენისთვის გაასამართლეს. მან დანაშაული აღიარა და საპროცესო გარიგება გაუფორმეს.**

**კახა გავაშელი — საბურთალოს გამგეობის აპარატის უფროსი. იგი ფინანსური დანაშაულისთვის ორჯერაა ნასამართლევი.**

**ვახტანგ ბექაური — ნაძალადევის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე. იგი საბურავების ქურდობაზეა ნასამართლევი. მისი მოადგილე სანაძის შესახებ კი სატელევიზიო სიუჟეტებიც მომზადდა. ხაბეიშვილის თქმით, არავინ უარყოფს, რომ სანაძე ნასამართლევია. „მედიატორის“ ხელმძღვანელი აქვე დასძენს, რომ საშკა სანაძე ქურდული ტრადიციების მატარებელია და ნარმანიას წინასაარჩევნოდ ეგ უგვარებდა საქმეებს. მისივე განმარტებით, მერიაში დასაქმებული ადამიანების 80% ან უვიცია, ან ნასამართლევი.**

**მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მაგდა პოპიაშვილმა გამოცემას სთხოვა ამ ადამიანების ნასამართლეობის ცნობის წარდგენა. მისი თქმით, სწორედ ამის შემდეგ გააკეთებინებდა ვინმეს კომენტარს“.**

ვერაფერს იტყვი. ანკი ჩვენ რა უნდა ვთქვათ, აქ წესით სხვები უნდა ლაპარაკობდნენ, ან უკეთესი იქნება, რომ საქმეს აკეთებდნენ.

პრინციპში ძირითადი თემები ესენი იყო. რა თქმა უნდა, მედიის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა დაპირისპირება საპარლამენტო უმრავლესობაში, არ დარჩენილა მოსალოდნელი დაჭერების ანონსები და ლარის კურსის ცეკვა-თამაში, მაგრამ ამ თემებზე სხვა დროს. ახლა კი მომავალ შაბათამდე დაგემშვიდობებით.

...გურჯაანის საკრებულოს ებარებოდეთ!

**გია გაბრიჭიძე**

**ჩუმად, ხალხს ნუ შეაწუხებ!**

# იხმაურებ? ჯარიმა ზედა გაქვს!..



**დედაქალაქის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თედო კობახიძე აცხადებს, რომ ღამის საათებში ხმაური დასჯადი გახდება. მისი თქმით, კანონდარღვევად ჩაითვლება ყველა ტიპის ხმაური, რომელიც განგრძობადი ხასიათის იქნება და არ იქნება ერთჯერადი. საუბარია არა მხოლოდ ხმამაღალ მუსიკაზე, არამედ სხვადასხვა საწარმოებიდან, დანადგარებისგან გამოწვეულ ხმაურზე, რომელიც დასახლებულ პუნქტებში ვრცელდება. ხმაურის პირველ გამოვლენაზე ჯერ გაფრთხილებით შემოიფარგლებიან, ხოლო შემდეგ — ჯარიმები იქნება 500-დან 1000 ლარამდე. ეს ნორმა ძალაში მაშინ შევა, როცა საკრებულო პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს.**

წინასწარ ცნობილია, რომ **ხმაური არ უნდა გადასცილდეს სამუშაო პერიოდში, კერძოდ, დილის 7 საათიდან საღამოს 11 საათამდე 40 დეციბალს, ხოლო ღამის 11 საათიდან დილის 7 საათამდე 30 დეციბალს.**

**ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბელგია, ჰოლანდია და სხვა, არის შენობები, სადაც დისკოთეკები ტარდება, მაგრამ ისინი ისეა იზოლირებული ხმაურისგან, რომ არცერთი დეციბელი ახლომახლო მოსახლეობას არ აწუხებს. საქართველოში კი ასეთი ნორმა არ არსებობს და კაფე-ბარების თუ რესტორნების მეპატრონეები უფრო საკუთარ მოგებაზე ფიქრობენ, ვიდრე მოსახლეობის სიმშვიდეზე.**

„დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალური მდივანი, საკრებულოს წევრი ზაზა ვეკუა For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ძველ უბნებში მოსახლეობა მართლაც შეწუხებულია ხმაურით. შესაბამისად, თბილისის საკრებულოც და მერიაც უნდა ზრუნავდნენ თბილისელთა კეთილდღეობაზე და უნდა განიხილავდნენ მათ მიერ შემოსულ წერილებს, მაგრამ საინტერესოა, როგორ აპირებს თბილისის საკრებულო ამ საკითხის მოწესრიგებას?!

**„ეს ბევრ კითხვას აჩენს. არ გვინდა, ისე მოხდეს, როგორც ბევრი კანონის შემთხვევაში. კერძოდ, იღებენ გადაწყვეტილებას, რომელსაც აღსრულება არ უწერია. ამიტომ კარგად არის მოსაფიქრებელი და გასათვალისწინებელი სხვა ქვეყნების მოდელები. ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ შეიძლება. საინტერესოა ისიც, ვინ განსაზღვრავს ხმის დეციბალს? ამისთვის რაიმე კონკრეტული სამსახური შეიქმნება? ხომ შეიძლება, ადამიანმა იხმაუროს, მივიდეს სპეციალური სამსახური, მაგრამ ადგილზე მისულს არ დაუხვდეს ეს ხმაური. ასეთი შემთხვევები ყოფილა და ეს ტენდენციურობამდე მიგვიყვანს“,** —აცხადებს ზაზა ვეკუა.

რაც შეეხება ჯარიმის ოდენობას 500-დან 1000 ლარამდე, საკრებულოს დეპუტატი თვლის, რომ ჯარიმა უნდა იყოს ადეკვატური, რათა ადამიანს სურვილი არ გაუჩნდეს, ხმაური გამოიწვიოს და კანონი დაარღვიოს. თუმცა, პირადად მას ჯარიმებთან დაკავშირებით არ აქვს კითხვის ნიშნები.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე რიმა ბერაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ღამის საათებში ხმაური არა მარტო მოსახლეობას აწუხებს, არამედ ძლიერი ვიბრაცია მოქმედებს დაზიანებულ სახლებზე და ეს სახლები უფრო და უფრო ზიანდება. ამიტომ ისტორიული სახლები უნდა იყოს მთავარი ამოსავალი წერტილი ამ საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება პირობითად შემოთავაზებულ თანხას — 500-დან 1000 ლარამდე, რიმა ბერაძე თვლის, რომ თანხის ოდენობა განხილვას კიდევ საჭიროებს და უნდა მოხდეს მისი გადახედვა, არის თუ არა კონკრეტული თანხა შესაბამისობაში დღევანდელ სოციალურ ფონთან. ამ შემთხვევაში, რიმა ბერაძე საუბრობს ცალკეულ ფაქტებზე, როცა ადამიანები დაბადების დღეებს აღნიშნავენ სკვერებში, ბაღებში და თავიანთი ხმაურით მოსახლეობას აწუხებენ. ცხადია, მათი მწირი ფინანსებიდან გამომდინარე, ამ ადამიანების 500-დან 1000 ლარამდე დაჯარიმება მძიმე ტვირთი იქნება. რაც შეეხება ძვირად ღირებულ რესტორნებს, იქ აუცილებლად უნდა დაკანონდეს აღნიშნული ოდენობით ჯარიმა, რადგან ზუსტად ასევე იქცევიან ცივილიზებული ევროპული ქვეყნები.

**მანანა ნოზაძე**

◎ ფინანსები



# კრედიტების ნაწილი გაძვირდება, ლარი კი ცოტა სულს მოითქვამს?!

**როგორც იქნა, ეროვნული ბანკი ლარის დევალვაციის პროცესში ჩაერია. მონეტარული პოლიტიკა გამკაცრდა. ეს ნიშნავს, რომ ლარი სულს მოითქვამს, ხალხში პანიკა ჩაცხრება, მაგრამ კრედიტების ნაწილი ცოტათი გაძვირდება.**

სებ-მა რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი 0,5%-ით გაზარდა და ამ ეტაპზე 4,5%-ზე აიყვანა. ბოლოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2014 წლის 14 თებერვალს შეიცვალა და 3,75%-დან 4%-მდე გაიზარდა.

**„ინფლაციის მოლოდინის ზრდის გასანეიტრალებლად კომიტეტი მიზანშეწონილად თვლის შერბილებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივ გამოსვლას. მიუხედავად პოლიტიკის გამკაცრებისა, განაკვეთი ნეიტრალურ ნიშნულს დაბლა რჩება. მიმდინარე პროგნოზით, თუკი არ გამოიკვეთა ეკონომიკაზე მოქმედი სხვა შოკი, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2015 წლის ბოლოს 5%-ის ფარგლებში იქნება“,** — განაცხადეს ეროვნულ ბანკში.

საპროცენტო განაკვეთი კრედიტებზეც გაიზრდება. ამასთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ განმარტა, რომ სესხი (ისიც მხოლოდ ნახევარი პროცენტით) გაუძვირდებათ იმ ადამიანებს, რომლებსაც იგი ლარში აქვთ გამოტანილი და რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული.

**„იმ ადამიანებისთვის, ვისაც სესხი აქვთ ლარში გამოტანილი და მიბმულია რეფინანსირების განაკვეთზე, ეს გამოიწვევს კრედიტის 0,5 პროცენტით ზრდას. რა თქმა უნდა, გესმით, რომ პროპორცია უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხს შორის, სადაც სესხის ტვირთი თითქმის 20%-ით გაიზარდა და 0,5%-ს შორის, ძალიან დიდია“,** — განაცხადა ქადაგიძემ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ინფორმაციით, 2015 წლის იანვრის მდგომარეობით რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული იპოთეკური სესხი 4902 ადამიანს, ხოლო ბიზნესსესხი 2111 იურიდიულ პირს აქვს.

კომერციულ ბანკებში ლარში გამოტანილი სესხების გაძვირებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებენ. როგორც „საქართველოს ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, რეფინანსირების განაკვეთის გაზრდა იმ სესხებს შეეხება, რომლებიც სწორედ აღნიშნულ განაკვეთზეა მიბმულები და ეს ხელშეკრულებაშიც გაწერილია.

**„ბუნებრივია, ცვლილება შეეხება ლარში გაცემულ იმ სესხებს, ძირითადად, იპოთეკურს, რომელიც მიბმულია ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს. არსებობს ასეთი პროდუქტი, რომლის პირობაში პირდაპირ დევს, რომ ის არის მიბმული ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე. თუკი რეფინანსირების განაკვეთი დაბლა იწევს, პროცენტიც, შესაბამისად, დაბლა იწევს და პირიქით. ასეთი სესხი ბევრი არ არის. ეს პირდაპირ პირობაში დევს და ვისაც აღნიშნული სესხი აღებული აქვს, მან, ბუნებრივია, ეს ყველაფერი იცის“,** — განაცხადეს „საქართველოს ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

იგივე განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ „თიბისი ბანკში“. მათი ინფორმაციით, ცვლილება შეეხება ლარში გამოტანილ იპოთეკურ სესხებს, რომლებიც რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმულები და როცა განაკვეთი იცვლება, აღნიშნული სესხის პროცენტიც იცვლება.

სხვა კომერციული ბანკების მსგავსად, „ვითიბი ბანკშიც“ იმ იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი იმატებს, რომლებიც რეფინანსირების განაკვეთზეა დამოკიდებული. როგორც ბანკში განმარტავენ, ეს ყველაფერი ხელშეკრულებაშია ჩადებული და კლიენტი ინფორმირებულია.

გარდა ამისა, გუშინ ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 40 მილიონი დოლარი გაყიდა. ამიტომ ლარი გამყარდა და 2,02-ის ნიშნულზე დაბალანსდა. ექსპერტი ლევან კალანდაძე აღნიშნავს, სებ-ის ინტერვენცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება ამ ეტაპზე საკმარისია იმისთვის, რომ მოკლევადიან პერიოდში ლარის კურსის ვარდნის პროცესი შეჩერდეს.

**„ეროვნულ ბანკს წინა კვირაში ჰქონდა დაანონსებული, რომ მონეტარულ პოლიტიკას გაამკაცრებდა. ამჯერად 0,5%-ით შეიცვალა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი. ეს არ არის სერიოზული გამკაცრება, გარკვეული პრევენციული ღონისძიებაა იმისთვის, რომ სებ-ი დააკვირდეს პროცესს და კარგად შეაფასოს ლართან დაკავშირებული პრობლემა.**

**თუ მონეტარული განაკვეთის 0,5%-იანი ცვლილება საკმარისი აღმოჩნდება იმისთვის, რომ ლარის ვარდნის პროცესი შეჩერდეს (სავალუტო ინტერვენციების პარალელურად), მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ 2015 წლის განმავლობაში 4,5% განაკვეთი დარჩება“,** — ამბობს ლევან კალანდაძე და დასძენს, რომ ეროვნულ ბანკს შეუძლია, მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში უზრუნველყოს ლარის გაუფასურების შეჩერება.

**ბექა დანელია**

◎ მდიდრები და ღარიბები

# საიდან ამდენი მეორადი ტანსაცმელი?

**თითქმის ორი ათეული წლის წინათ საქართველოში ჰუმანიტარული სახით შემოსული ევროპული, მეორადი ტანსაცმელი ადგილობრივ ბაზარზე შემოსავლის ერთ-ერთ სარფიან წყაროდ იქცა. ევროპული ბრენდების, ჭრელი და ხარისხიანი, მაგრამ მეორადი ტანსაცმელი ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი პოპულარობით გავრცელდა. მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში ტანსაცმლის ქართული ბაზარი ევროპული ბრენდების მაღაზიებით არ იყო განებივრებული.**

მეორადი ტანსაცმლის მაღაზიები, სხვადასხვა მიმზიდველი სახელწოდებით — „ბრიტანული ბრენდები“, „ევროპული ზმანები“, „ძონძო არმანი“, „ბელგიური ტანსაცმელი“ — მალე სოკოებივით მოედო დედაქალაქისა თუ საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებს. ერთ-ერთი ქვეყანა, საიდანაც საქართველოში მსგავსი სახის „ჰუმანიტარული დახმარება“ ჩამოდის, დიდი ბრიტანეთია.

როგორც აღმოჩნდა, ყოველწლიურად ბრიტანელი მომხმარებელი მილიონობით ტონა ტანსაცმელს აბარებს საქველმოქმედო მიზნებით. თუმცა, ბრიტანეთში ჩატარებული ერთ-ერთი ბოლო კვლევის თანახმად, ბრიტანელების ნაქონი ტანსაცმელი ქველმოქმედებას კი არ ხმარდება, უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში იყიდება. ლონდონის კინგზ კოლეჯის უნივერსიტეტის პროფესორი ენდრიუ ბრუქსი თავის წიგნში „ღარიბთა ტანსაცმელი“ წერს, რომ ბევრი ბრიტანელი, რომელიც ტანსაცმელს ქველმოქმედების მიზნით აბარებდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მათი ქველმოქმედება საზღვრებს მიღმა სარფიან ბიზნესად იქცეოდა.

**„ბევრი ადამიანი ძველ, ნაქონ ტანისამოსს საქველმოქმედო მაღაზიებში აბარებს, რომელიც ყველა ცენტრალურ სავაჭრო ქუჩაზეა განთავსებული. საზოგადოება მიიჩნევს, რომ ტანსაცმელს ქველმოქმედებისთვის იღებს და მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მათი ტანსაცმლის ერთი ნაწილი მართლაც მოხვდეს ასეთი მაღაზიების დახლებზე, უმრავლესობის ექსპორტი მაინც საზღვარგარეთის ქვეყნებში ხდება“,** — წერს ენდრიუ ბრუქსი.

ბრიტანული სააგენტო Waste & Resources Action Programme (WRAP)-ის მონაცემებით, ბრიტანეთიდან მეორადი ტანსაცმლის 70% სხვა ქვეყნებში გადის. გაეროს ცნობებით კი, აშშ-ის შემდეგ, გაერთიანებული სამეფო მეორადი საქონლის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია. მსხვილ ექსპორტიორთა შორის ასევე სახელდება გერმანია, სამხრეთ კორეა, ნიდერლანდები, ბელგია, კანადა, იაპონია, პოლონეთი და იტალია.

WRAP-ის ინფორმაციით, 2013 წელს დიდი ბრიტანეთიდან მეორადი ტანსაცმლის დიდი ნაწილი პოლონეთში, უკრაინაში, განასა და პაკისტანში გავიდა, აშშ-დან კი კანადაში, ჩილეში, გვატემალასა და ინდოეთში. მიუხედავად




იმისა, რომ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც დიდი ბრიტანეთიდან და აშშ-დან მეორადი ტანსაცმელი გადის, საქართველო არ არის, დაგვეთანხმებით, რომ არც საქართველოსთვის არის ბრიტანული, ბელგიური თუ კანადური მეორადი ტანსაცმელი უცხო. ენდრიუ ბრუქსის მტკიცებით, საქველმოქმედო მაღაზიებში მოხვედრილი მეორადი ტანსაცმლის მხოლოდ 10-დან 30%-მდე იყიდება ამ მაღაზიებში, დანარჩენი კი ექსპორტზე გადის. მისივე თქმით, მეორადი ტანსაცმლის გადამუშავებითა და ექსპორტზე გატანით ერთ-ერთი ბრიტანული ოჯახური ფირმა LMB Textile Recycling არის დაკავებული, რომელიც გადამუშავებული ტანსაცმლის ექსპორტს აღმოსავლეთ ევროპისა და აფრიკის ქვეყნებში ახდენს, სადაც ასეთი ტანსაცმელი საკმაოდ ძვირად ფასობს.

ამასთან ერთად, ენდრიუ ბრუქსი აღნიშნავს, რომ მეორადი ტანსაცმლის საბოლოო პუნქტი გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, რომელ ქვეყანაში რას ანიჭებენ უპირატესობას. მაგალითად, პაკისტანში უფრო მეტად მოთხოვნადია თეთრი პერანგი, რომელიც განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს იურისტებში, თბილი პალტოები ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში იგზავნება, საზაფხულო ტანსაცმელი კი მეტწილად აფრიკაში. ბრიტანელი პროფესორი მიიჩნევს, რომ დასავლეთის ქვეყნებიდან მეორადი ტანსაცმლის უწყვეტი ნაკადი ისევე, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან იაფფასიანი ახალი ტანსაცმლის ხელმისაწვდომობა ბევრ განვითარებად ქვეყანაში უარყოფითად აისახა ტექსტილის წარმოებაზე. ეს განსაკუთრებით აფრიკულ ქვეყნებს შეეხო, სადაც 1980-90-იანი წლებიდან მოყოლებული მეორად ტანსაცმელს ბაზრის დიდი წილი უკავია. მაგალითად, უგანდაში ტანსაცმლის ბაზრის 81% სექონდ-ჰენდზე მოდის.

WRAP-ის მონაცემებით, საერთო ჯამში, ბრიტანეთში ყოველწლიურად ტანსაცმელზე 44 მილიარდი ფუნტი იხარჯება, საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახი ტანსაცმელზე 4 ათას ფუნტს ხარჯავს. ტანსაცმლის 30%-ს ბრიტანელები ერთი წლის განმავლობაში მოიხმარებენ, შემდეგ კი აბარებენ. ყოველწლიურად დიდ ბრიტანეთში 140 მილიონი ფუნტის ღირებულების ტანსაცმელი „იყრება“.

**გოგრონ ტყავაძე**

◎ კაკალ გულში

● **კაპიტანო გიგაურო და კაპრალო ლომჯარია, სასწრაფოდ გამეცით პასუხი: არის თუ არა ალენ დელონის საქციელი სექსიზმი და მამაკაცთან შედარებით ქალის როლის დაკნინება?**

**„არტ პალასის“ პრესკლუბში შესვლისას ალენ დელონმა „რადიო იმედის“ ჟურნალისტი გვანცა გიორგობიანი გადაკოცნა და პირველ რიგში მყოფ მამაკაცს ქალბატონებისთვის ადგილის დათმობა ურჩია.“**

**გაკოცეეთ. . .**

● **ხელისუფლებას მივმართავ. რა გახდა ერთი სპეციალური ჯგუფის გამოყოფა? აღწერა გააკეთეთ დეტალური, რამდენი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა ნაციონალების რეჟიმმა. დადეთ ოფიციალური დოკუმენტი, 2003 წლიდან დღემდე რამდენი ადამიანი მოკლეს ამ უტიფრებმა, კიდე რო ხმას იღებენ! მე პირადად ნერვები დამიავადდა ამათი ყურებით და სმენით! როდემდე უნდა ეძახონ მკვლელობებს გადაცდომა და გენოციდს — რეფორმა, დავილალეთ რა!**

● **აი, რო ამბობენ, ცოლ-ქმარი ერთმანეთს ემსგავსებაო (მე ჯვარი მწერია), ხშირად მინახავს მართლაც გვანან ერთმანეთს. ჰოდა, სრული სერიოზულობით ვამბობ: ამ ბოლო დროს ნაციონალები დაემსგავსნენ ერთმანეთს მაგრად. ძლივს ვარჩევ, ნატო გელაშვილის სიმღერებივით, ყველა „დეკემბერი“ მგონია.**

● **მართალი თქვა დღევანდელ მთავრობის სხდომაზე ღარიბაშვილმა სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციაზე. ყუშიტაშვილებით პოლიციაზე მიზანმიმართული შეტევა არის ნაციონალების მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციის უნიჭო მცდელობა. მკვლელი, მექრთამე და გათახსირებული ნაციონალი თუ დაიჭირეს, თურმე პოლიციაა პოლიტიზებული და პოლიტიკური ნიშნით იდევნებიან მირონმდინარე საზოგადო მოღვაწეები! ამ მაძუნდარების მოსაწონი მინისტრი და კადრი არ დაბადებულა 2012 წლის მერე. ჯერ ჯანელიძეს ეტაკნენ სულით ხორცამდე უკრაინელები. ახლა იმას აწვებიან — კი იჭერენ თავიანთივე გუნდის წევრებს დანაშაულზე, მაგრამ მაინც პოლიტიზებულია პოლიცია, იმიტო რო ფირცხალავა დაიჭირეს და სხვა საქმეებსაც იძიებენ, რაშიც ჩაკუკული გვაქვსო. ცოტა ჩამოყალიბდით ხოლმე და ისე ყარეთ ტლინკები!**

● **მელია რო ვინმეს ჯოკია ბოდოკიობაზე ილაპარაკებს?! ალპინისტ-დამსუფთავებლებად ჰყავდათ ჩამოკონწიალებული მთელი შოუბიზნესი.**

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძე**

# ინგლისურის



**ლეილა მესხი**

რა დასამალია და, ზოგჯერ მხატვრული ნაწარმოები, სიმწრის ცრემლივით აიკრიფავს სათქმელს, წყენას, დარდს, საფიქრალს. ყოველივეს საქვეყნოდ ამხელს... ამ შემთხვევაშიც ასეა. ამ მოთხრობას პერსონაჟები არ აკლია: დაბაში ცნობილი პედაგოგი ბაბულია ბახტაძე (საშუალო ტანის, ფერმკთალი, სახეგაცრეცილი ქალი), უცხოეთიდან მოწვეული სტუმარი, ინგლისური ენის მასწავლებელი დევიდ (იგივე დევი) მილსონი (ტანმაღალი, წითური, ჟღალთმიანი მამაკაცი) და პირველი საშუალო სკოლის მეათეკლასელები. ამას დაემატა დაბა თავისი მაცხოვრებლებით.

მთავრობის გადაწყვეტილებით, ინგლისური ენის სრულყოფილად შესწავლის მიზნით უცხოელი პედაგოგები რომ მოიწვიეს ქვეყანაში, ერთი მათგანი, ხონის დაბას ეწვია. გაურკვეველი ასაკის, ეროვნების თუ რწმენის კაცი – დევიდ მილსონი. რა დასამალია და, იოლად შეეჩვია დაბას, მის მცხოვრებლებს, მოკირწყლულ ქუჩებს, სიმწვანეში ჩაძირულ ოდა-სახლებს, ჩუხჩუხა არხებს, „ბულვარის" მწვანე ხეივნებს, სასეირნო ბილიკებს, ასწლიან ხეებს. ყოველდღე ვარჯიშობდა, დარბოდა, ველოსიპედით აღმა-დაღმა დაქროდა...

სიძველე არ აკლდა დაბას. შუაგულში, წითელი აგურით ნაშენი, ნახევრად დანგრეული სემინარიის სამსართულიანი შენობა აღმართულიყო, იქვე ახლოს, მინებჩალეწილი ჩაის ფაბრიკა მოჩანდა. მიწასთან გაესწორებინათ ერთ დროს ცნობილი ძაფსაღები ქარხანა. დაენგრიათ, დაეშალათ, ძველისძველი დაზგები ჯართში ჩაებარებინათ. მოკლედ იქაურობა ნაომარს ჰგავდა. თუმცა, ყოველივე ამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია მილსონს, მისთვის ყველაფერი სულერთი იყო... ერთადერთი ახალი ნაგებობა, საავადმყოფოს ორსართულიანი, თეთრად შეფეთქილი შენობა აღმოჩდა, რომლის გახსნაზეც, თავად მაშინდელი პრეზიდენტი ჩამობრძანდა დაბაში. იზეიმეს, ლენტიც გაჭრეს. თუმცა, ავადმყოფზე მეტი, მედიცინის მუშაკი აღმოჩდა საავადმყოფოში, მკურნალობის ფასებმა დააფრთხო ხალხი!

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, უცხოელი პედაგოგის გამოჩენა ერთობ მოულოდნელი გამოდგა დაბის მცხოვრებთათვის. ნამდვილად არ ელოდნენ! თუმცა, მოწიწებით მიიღეს, აშკარა პატივით... უმალ ბინა შეურჩიეს, სკოლა დაათვალიერებინეს, პედაგოგები გააცვნეს. წუთით არ მოსცილებია სკოლის დირექტორი, ტანდაბალი, მელოტი, ჯიჯგვი კაცი ლეო კვინიხიძე. თან დასდევდა, თვალებში შესციცინებდა... ყველაფერზე თავს უკანტურებდა. საუბედუროდ, თავად ინგლისური ენის ინჩიბინჩი არ გაეგებებოდა...

არადა, უცხოელი პედაგოგის ბლაყუნა ნაბიჯებმა, ხმამაღალმა სიცილმა და როხროხმა, აშკარად გაართო ხალხი. ქართული ენა არ იცოდა, არც სწავლას აპირებდა, დიდად არც სურვილს ამჟღავნებდა, თუმცა, ამის გამო არ დაუწუნიათ. ხშირად ოჯახებში იწვევდნენ, სუფრებს უშლიდნენ, ეპირფერებოდნენ (ზოგჯერ ნამეტანი ემართება ჩვენს ხალხს!). მოკლედ, ასე იყო თუ ისე, თავს მხიარულად გრძნობდა მილსონი. თავისუფლად მიმოდიოდა, ყველას უღიმოდა, „ჰელოუ!" – შორიდან ესალმებოდა.

უცოლო იყო. ორმოცი წლის.

ეს ბევრს ნიშნავდა! სასიძოდ შეგულებულ მამაკაცებს ისიც მიამატეს, თუმცა, იმასაც ამჩნევდნენ, დაბის ლამაზმანებისკენ ნაკლებად გაურბოდა მზერა, ხშირი სეირნობები უყვარდა მილსონს, ექსკურსიები, პიკნიკები. ყოველ შაბათკვირას სამგლე გოჭივით ატყდებოდა, ახალგაზრდებს აიყოლიებდა და გასწევდა. ასე და ამგვარად მოიარეს ქუთაისი, გელათი, სამტრედია, ფოთი. ახლო-მახლო ქალაქები, რაიონები, დაბები. მერე მთებისკენ გასწიეს. გორდსა და კინჩხას ეწვივნენ, როგორც საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთს, ისე ათვალიერებდა მილსონი იქაურობას. გორდის ტყე-პარკსაც ეწვია, დადიანების სასახლე ინახულა, ზერელედ შესცქეროდა ნახევრად დანგრეულ ძველისძველ შენობას. წარსულით დიდად არ დაინტერესებულა. დადიანებზეც არაფერი სმენოდა... არც ეკატერინე ჭავჭავაძე იცოდა და არც იმისი ვაჟი, ნიკო დადიანი... ნიკოლოზ ბარათაშვილი ხომ საერთოდ არ გაეგონა.

სულ მალე პირველი საშუალო სკოლის მეათეკლასელებიდან, ხუთი ნიჭიერი ყმაწვილი შეარჩიეს, რომ უცხოელ პედაგოგთან დამატებით ემეცადინათ (ხუთივეს საზღვარგარეთ სურდა სწავლა!), ასე რომ, ბაბულიას აღზრდილი ყმაწვილები, მოულოდნელად უცხო პედაგოგთან აღმოჩდნენ ცოდნის გასამყარებლად და გასამტკიცებლად.

დილით გაკვეთილებს ესწრებოდა მილსონი, საღამოთი ყმაწვილებს იბარებდა თავისთან, დამატებით ამეცადინებდა – ოთხ ბიჭს და ერთ გოგონას.

მათგან, ყველაზე მძიმე პირობებში გაგრელი ლტოლვილი, თაზო მელაძე ცხოვრობდა. საბავშვო ბაღის ნახევრად დანგრეულ შენობაში მშობლებთან ერთად დაედო ბინა. უდავოდ ნიჭიერი ყმაწვილი იყო, რა კითხვაც არ უნდა დაგესვა, სხაპა-სხუპით გიპასუხებდა (ყველაზე მეტად მასზე წყდებოდა ბაბულიას გული!). გამგებლის შვილთან მეგობრობდა, ირაკლი მებუკის უფროს ვაჟთან, ბეჯითად მეცადინეობდნენ ბიჭები. მერე გამგებელმა ივაჟკაცა და ლტოლვილთა დახმარების ფონდიდან საჭირო თანხა გამოძებნა, რომ თაზო მელაძეს უცხოელ პედაგოგთან ემეცადინა.

საავადმყოფოს მთავარი ექიმის ქალიშვილი, ნინიკო მიქაძეც მათთან იყო. თხელი, კაფანდარა, სათვალიანი გოგო. რატომღაც ბიჭებთან პირისპირ ჯდომას, მათთან საუბარს გაურბოდა, მორცხვი ჩანდა, უკანდახეული და მორიდებული. სამაგიეროდ დავალებებს ასრულებდა პირნათლად, ინგლისურ ენაზე გამართულად მეტყველებდა. თუმცა, ერთი თვის შემდეგ, მილსონთან მეცადინეობას თავი დაანება გოგომ. ვიღლებიო, განაცხადა. ნამდვილი მიზეზი არ გაამხილა...

გუჯუ გუჯეჯიანის უფროსი ვაჟიც მათთან მეცადინეობდა. თექვსმეტი წლის, ახლად წვერულვაშშებუმბლული, ჯანიანი ბიჭი. გაკვეთილებს იშვიათად აცდენდა. ოღონდ! ბოლო დროს, ერთობ მხიარული გახდა, მალიმალ ძმაკაცს მოხედავდა, გრძელ, აწოწილ ბიჭს, უნივერმაღის ყოფილი დირექტორის შვილს– გაგას. თავი თავს მიედოთ ბიჭებს, ხითხითებდნენ, ცმუკავდნენ, ანცობდნენ. უცხოელი პედაგოგიდან დაბრუნებულები დიდხანს შინ ვერ შეჰყავდათ მშობლებს, მოფარებულ ადგილას, ჩრდილქვეშ ყოფნას ამჯობინებდნენ... რა ხდებოდა, ჯერაც ვერ გაერკვიათ!

* * *

ამას დაერთო, მილსონს მეგობარი ჩამოუვიდა თელავიდან. ფერადკანიანი. მაღალი, აწოწილი კაცი. სქელი, გადმობრუნებული ტუჩებით, ყვითელი გუგებით. ხუჭუჭა თმა ფაფანაკივით ადგა თავზე. ისიც ინგლისური ენის მასწავლებელი გამოდგა. თელავში გაენაწილებინათ. ჰოდა, ჩამოაკითხა ძმაკაცს. „ბმ"-ით ჩამოვიდა, მძღოლი, მზეზე დამწვარი, სქელწარბებიანი, კახელი კაცი, რატომღაც განაწყენებული ჩანდა, წესიერად არც დამშვიდობებია თანამგზავრს, არც ფული აუღია, მიბრუნდა და წავიდა.

მეორე დღეს, მკლავიმკლავგადახვეული, ხალათგაღეღილი, შორტებითა და „ადიდასის" ფეხსაცმელებით, დაბის მოკირწყლულ ქუჩებში დასეირნობდა მილსონი თავის შავტუხა ძმაკაცთან ერთად. ბაზარშიც შეიარეს, ხონის ცნობილ ბაზარში. (მხატვარ ჯემალ კუხალაშვილის ტილო მაგონდება „ხონის ბაზარი") ტიკჭორებით, გოდრებით, კალათებით ამოვსებული სივრცე. ცმაცუნა ბეკეკოები, თეთრშუბლიანი უშობლები. სავსე დახლები. მხიარული გოგო-ბიჭები, გვერდიგვერდ ჩამომსხდარი ულვაშიანი კაცები და ჭრელკაბიანი ქალები შთამბეჭდავ განწყობას ქმნიდნენ.

დახლებს გაჰყვნენ სტუმრები, დიდად არაფერზე დაფეთებულან. ვერც ხონის ბაზრობამ მოხიბლა ისინი. სიმწიფისგან დახეთქილი ბროწეულები იყიდეს. წითელ-წითელი ვაშლები, გრძელყუნწიანი გულაბი მსხლები. ზერელედ დასცქეროდნენ იმერლების ნამზად პროდუქტს: დაწნულ სულუგუნებს, პიტნაშეზელილ ნადუღს. არაფერი მოსწონდათ, ცხვირს იბზუებდნენ, არც ნამზადი, არც ნაკეთი. ადამიანებს, განსაკუთრებით ქალებს, ზედაც არ უყურებდნენ... მგონი, ვერც ამჩნევდნენ...

მოგვიანებით, როგორც ისტორიულ ძეგლს, წმინდა გიორგის ეკლესიას ეწვივნენ (მეჩვიდმეტე საუკუნის ნაგებობას), მწვანედ ბიბინებდა ეზო, ასწლიანი ჭადრები იდგა. გალობის ხმები ისმოდა. მლოცველებს შორის, ისინიც ჩადგნენ. თუმცა, არ ულოციათ, არც სანთლები აუნთიათ, არც პირჯვარი გადუსახავთ. უხმოდ იდგნენ.

იქიდან წამოსულები, ერთ ხანს ხონის ძველ ბაღში ისხდნენ, ხშირფოთლოვანი ხეებით დაჩრდილულ ხეივანში. გრძელ სკამზე გადათხლაშულიყვნენ. მსხვილმუცლიანი ბოთლი დაეძრო მილსონს. ვისკის სვამდნენ, წრუპავდნენ. ხან ერთი მიიყუდებდა პირთან, ხან მეორე. ხმამაღლა იცინოდნენ... აშკარად ჩანდა, მიმსვლელ-მომსვლელი, შორიდან მოთვალთვალე ადამიანები, სულ ფეხებზე ეკიდათ. ძლივძლივობით წამოიზლაზნენ, ერთხანს ავტობუსის გაჩერებასთან, მწვანეფარაჯიან ჯარისკაცებს გაუბეს მასლაათი. ბიჭები, ერაყიდან ახალი დაბრუნებულები აღმოჩნდნენ, ინგლისურ ენაზე გაძნელებით ლაპარაკობდნენ. აშკარად ჩანდა, მათთან სასაუბროდ არ ეცალათ ბიჭებს, არც საამისო სურვილი გააჩნდათ. მალე ავტობუსი გამოჩდა და არც დამშვიდობებიან, უხმოდ გაეცალნენ..

სულ მალე, განათლების განყოფილების მოთხოვნით, ინგლისური ენის პედაგოგთა გაკვეთილებს დაესწრო დევიდ მილსონი. მოსწავლეთა ცოდნის შეფასება დაევალა. სხაპა-სხუპით პასუხობდნენ ბავშვები. თავმომწონეობდა ბაბულია, შექსპირის სონეტები წააკითხა, თარგმნეს კიდეც. სტუდენტობის წლებში რევაზ თაბუკაშვილის თარგმანი შეიძინა ბაბულიამ, ხშირად იყენებდა წიგნს. ახლაც, რომ ეგონა, ზეზე წამოიჭრება სტუმარი და ხოტბა-დიდებას შემასხამსო, არაფერი შეგეშალოთ! მცირედი აღფრთოვანებაც არ გაამჟღავნა მილსონმა... დაღვრემილი იჯდა. სხვათა შორის იკითხა კიდეც:

– რომელი საუკუნის ინგლისურით ასწავლით, სად უნდა გამოიყენონ?!

გაშეშდა ქალი. ოფლის მსხვილი წვეთები დაასხდა შუბლზე. შეურაცხოფისაგან ენა ვერ დაძრა. ეს კაცი არა მარტო მას დასცინოდა, არამედ მთელ დაბას, გაუნათლებელ, ჩამორჩენილ კუთხედ მიაჩნდა. სტუმრის დამცინავი ტონი უმალ იგრძნო დირექტორმა. აღელვებული კაცი პიჯაკის ვიწრო ბეჭებში გაჭედილს დაემსგავსა. მაშინ იყო გაკვეთილების რაოდენობა რომ შეუმცირეს ბაბულიას, ოცდაორი საათის ნაცვლად ცხრას დააჯერეს. წყენისგან ლამის გული გაუჩერდა ქალს! უმძიმესი დღეები დადგა. შეურაცხოფილი, ტირილსაც ვერ ახერხებდა, ცრემლი გაშრობოდა... ხომ დგება წუთი, როცა ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. სიმართლის მოძიება გადაწყვიტა. ვისთვის მიემართა?! სკოლის დირექტორის გამოხედვაში უმწეობა და შიში იგრძნობა. თავისი სიდიდით, სიმაღლით, თითქოს სრესდა მილსონი ამ ჩია კაცს. ინგლისური ენის არცოდნის გამოც სჯიდა... (ესეც თავისებური ხერხი იყო!) ასე რომ, დირექტორს საკუთარი თავი ჰქონდა დასაცავი...

დილაადრიან, განათლების განყოფილების გამგეს ესტუმრა ბაბულია, თავის ნამოწაფარს. ახალგაზრდა კადრს, ლაშა სანოძეს შეუღო კაბინეტის კარი. წაბლისფერთმიანმა, ფართოთვალება ახალგაზრდამ (ჭაბუკობისას ტერენტი გრანელის პოეზია უყვარდა!). ერთხანს მოსაცდელში ალოდინა ძველი პედაგოგი, როგორც იქნა მიიღო. ღელავდა ქალი, წამდაუწუმ სათვალეს იხსნიდა. ოფლიან შუბლს ცხვირსახოცით იწმენდდა. სამხედრო პირს რომ წოდებას აჰყრი, ჩინ-მედლებს ჩამოართმევ, დამცირებულს გვერდზე მიაგდებ, ამგვარად დღეში იყო ქალი.

არადა, ყოფილი აღმზრდელის გამოჩენამ აშკარად ააღელვა ვაჟი. ერთხანს თავდახრილი იჯდა, მერე წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა. უცებ ალაპარაკდა ქალი:

– ჩემი მოსვლის მიზეზად გაკვეთილების შემცირებას ნუ ჩამითვლით. საერთოდ წავალ სკოლიდან. საკმაოდ ვემსახურე ხალხს, ახალგაზრდებს".

– თქვენი დასჯა არავის უფიქრია, სახელმწიფო პროგრამაა ასეთი, მოსწავლეებს უცხოეთიდან მოწვეულმა პედაგოგებმა უნდა ასწავლონ. რა არის ამაში ცუდი?!

– არაფერი. ასწავლონ, ვინ უშლის... მაგრამ ერთი რამ უნდა გკითხოთ, რასაც წინათ ვასწავლიდი, ინგლისურ ენას, ლიტერატურას, მორფოლოგიას, სინტაქსს. ახლა რატომ გახდა საეჭვო, რაიმე შეიცვალა?!

ჯიქურ ჰკითხა. პასუხი არ აღირსა ვაჟმა. მაგიდის უჯრაში რაღაცას ეძებდა, აშკარად ჩანდა სტუმრის მზერას გაურბოდა. ვრცელ კაბინეტს, პრიალა ავეჯს, ტელეფონების მწკრივს, რაღაც შეეცვალა მასში. სამი წელი ამერიკაში ისწავლა (უცხოეთში გატარებული წლების გამო დანიშნეს განყოფილების გამგედო, ამასაც ამბობდნენ სკოლაში).

– იძულებული ვარ, სიმართლე გითხრათ. – თავი ასწია ვაჟმა – მილსონი თქვენს პედაგოგიურ გამოცდილებას ეჭვის თვალით უცქერის.. სწავლის დონეს გიწუნებთ, ენის ცოდნას, გრამატიკას...

– გამოდის, რომ... შექსპირის, ბაირონის, ემილი დიკინსონის ენას იწუნებს.

– თანამედროვე, ცოცხალი ენა უნდა იცოდეთ, რომლითაც დღეს მსოფლიო იმართება.

– ამდენ ხანს რას ვასწავლიდი?!

ვაჟმა არ უპასუხა. სდუმდა.

წამოდგა ქალი. ღია ფანჯარაში გოგო-ბიჭების ხმები შემოიჭრა. გაკვეთილები დამთავრებულიყო!

უხმოდ დატოვა კაბინეტი. როგორც საკუთარი ტყავიდან ამოძრომა არ შეუძლია ადამიანს, ისე არ შეეძლო, შეგუებოდა სინამდვილეს. მისი აღზრდილი გოგო-ბიჭები უნივერსიტეტებში სწავლობენ, წარმატებებს აღწევენ. ახლა რა გამოდის?! ეს წლები, ატყუებდა ხალხს?! ბავშვებს?! საცა იყო ზღართანს მოადენდა.

უნდა იძალოს! როგორმე გარეთ გააღწიოს.

ბაღი გადაჭრა, ნაძვებს შორის, მწვანედ დაბურულ ბილიკს გაჰყვა. ერთხელაც არ მოუხედავს უკან.

საკუთარი სახლის კარებთან, ჩანთიანი გოგონა ელოდა, თავდახრილი იჯდა. ნინიკო მიქაძე. ნამტირალევი თვალები უჩანდა...

– რა მოხდა, ნინიკო!

–შეფასებას არ მაძლევს დევი მასწავლებელი.

– რატომ?

–მოსამზადებელ ჯგუფში რატომ არ დადიხარო!.

– რატომ არ დადიხარ?!

გოგონამ თავი ჩახარა.

– თქვი!

– მშობლებს ვერ ვეუბნები. მრცხვენია...

– რისი გრცხვენია?!

– *მეცადინეობის შემდეგ...* „ფეისბუქზე" სურათებს გვაჩვენებდა...

– რა სურათებია?!

– კაცები მოჩანდნენ... ერთმანეთს ეფერებოდნენ. შიშვლები იყვნენ.

(მოთხრობა)

# მასწავლებელი

– არ გადამრიო!
– ჰო.
– მერე ბიჭები რას ამბობდნენ?!
– იცინოდნენ..

გაქვავდა ქალი, ყველაფერს ელოდა, ოღონდ ამას არა.

...ესეც შენი სხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილი ინგლისურის მასწავლებელი, სპეციალური პროგრამა. ახალგაზრდების გარყვნა, გადაჯიშებაა მათი პროგრამა. ვინ არიან?! საიდან მოვიდნენ?! გაძლიერებული სწავლება, საუკეთესო ბავშვები შეურჩიეს... ყველაზე ნიჭიერები. „ფეისბუქის" მეშვეობით, გეი-პარტნიორებთან ბლღარძუნის ამსახველ ფოტოებს აჩვენებს. გაუკუღმართებული სექსის პროპაგანდას ეწევა. საეჭვო ზნეობის და ორიენტაციის კაცი გამოგზავნეს. შეიძლება გული გაუსკდეს ადამიანს... როგორ მოიქცეს?! ვის უთხრას, ვინაა მშველელი?!

ლამის ჭკუიდან გადავიდა ქალი.

როგორ გინდა უმსგავსობას ებრძოლო?! ფიქრმა დაღალა ქალი.

გამოსავლის პოვნა გაუძნელდა. გადაწყვიტა, თავად შებრძოლებოდა მილსონს, თავისი „დაწუნებული ინგლისურით" სიმართლე მიეხალა პირში. ასეც მოიქცა. მეორე დღეს, დერეფნის ბოლოს, სკოლის ბიბლიოთეკასთან ახლოს, დაიმარტოხელა იგი. ზედიზედ მიაყარა სათქმელი. მწარედ და დაუნდობლად ამხილა. მოსწრებაზე იყო, გაოცებული შესჩერებოდა კაცი, რაც ესმოდა, არ სჯეროდა... მერე ხმამაღლა გადაიხარხარა. იმგვარი ზიზღით შემოხედა ქალს, თითქოს უკვირდა, ეს ჭიაღუა რას მიბედავსო... როყიო ხმით უთხრა:

– ახლა მე გეტყვი სიმართლეს. ქვეყანა კარგი გაქვთ, ბუნება საუკეთესო... თვითონ ხართ უვარგისი, აქაურობისთვის შეუფერებელი ხალხი, ზარმაცი, უდარდელი, უნდა გაგასახლონ აქედან!.. – ბრძანებლური ხმა ჰქონდა. ზემოდან დაჰყურებდა.

წამით უძალობა იგრძნო, ბაბულიამ, ეს კაცი არა მარტო ფიზიკურად სრესდა მას, არამედ სულიერად ანადგურებდა... მარტო მას კი არა, მთელ კუთხეს, დაბას, ხალხს...

– ტირილი არ შეიძლება!. – საკუთარ თავს უთხრა.

თუმცა, ვერც ზევით აჰყვა კიბეს და ვეღარც ქვემოთ ჩამოაბიჯა.

ერთ ადგილას გაშეშებულივით დარჩა.

* * *

უცხოელი პედაგოგით განსაკუთრებით ბიჭები დაინტერესდნენ. პირველი საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები. ისინი თანამედროვე ტექნიკით იყვნენ გატაცებული. კომპიუტერზე, ინტერნეტზე, ფეისბუქზე ჭკუა ეკეტებოდათ. თაზო მელაძე ურთულეს პროგრამებში დაძვრებოდა. თუმცა, ეს არ იყო მთავარი, ბოლო ხანებში ძალზე გამხიარულებული ჩანდნენ ბიჭები, ღლაბუცობდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს ახტებოდნენ.

– რა მოუვიდათ ამ ბიჭებს, ასე რატომ შეიცვალნენ?! – უკვირდათ პედაგოგებს.

მხოლოდ ბაბულიამ იცოდა, სად იყო ძაღლის თავი დამარხული. ვისგან მოდიოდა ამგვარი სითამამე, თავაშვებულობა.. სკოლის დირექტორისთვის გინდა გაგემხილა და გინდა არა. საკუთარი ჩრდილის ეშინია ამ კაცს... განათლების განყოფილების გამგე უტიფრად პირში შეახლის: „შური გალაპარაკებს," წადი და არკვიე სიმართლე!

არადა. ცუდ დღეში აღმოჩნდა ქალი, დამხმარეს ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა. ნახევარი დაბა თურქეთსა და საბერძნეთში იყო გახიზნული, რომ ოჯახები ერჩინათ, შვილები გამოეკვებათ. სახლ-კარი მოხუცებსა და ბავშვებს დაუტოვეს.

იმ დღეს, უნივერმაღთან ახლოს, ავეჯის მაღაზიის ფართო ვიტრინას წაჰკრა თვალი. კარები ფართოდ მოეღოთ, ლურჯხალათიან მუშებს მაგიდები შექონდათ. ყავისფრად გალაქული, ლაპლაპა ავეჯი. „გუჯეჯიანის მაღაზია"– გაუელვა წამით. ვაჟი ბაბულიას მოსწავლე იყო, ახლა უცხოელთან მეცადინეობს.

გუჯეჯიანი ყოფილი მოკრივე, ორმეტრიანი, სვანი კაცი იყო. სამართლიანი და პირში მთქმელი.

ნაბიჯი ააჩქარა, ლამის გარბოდა ქალი. თმის ღერები სიმინდის გამომშრალი ფუჩეჩივით ეყარა მხრებზე. თვალის უპეები დაბერვოდა, საკუთარ თავთან ნაბრძოლებს ჰგავდა.

გუჯეჯიანი ხონელების ზედსიძე იყო.

... ოჯახი და ავადმყოფი დედა ვერ მიატოვა, კაცმა კიდევ საყვარელი ქალი ვერ დათმო. სვანი კაცი იმერლებში სიძედ შემოვიდა. მხარბეჭიანი, თეთნულდის მთასავით წამომართული კაცი.. თავადაც თეთნულდზე იყო შეყვარებული. მალიმალ მშობლიურ კუთხეს აკითხავდა, ცოლ-შვილი მიჰყავდა.

თავდაპირველად ძნელად შეეთვისა დაბას, იმერლებთან სიახლოვე გაუჭირდა, მათი მხიარული მიეთმოეთი, სიცილ-ხარხარი. კარგა ხანს არავის ეკარებოდა, მერე ბიძაშვილებმა ჩამოაკითხეს სვანეთიდან. ხის მასალით დატვირთული „კამაზი" მოაყენეს. აზრი მიეცა მის ცხოვრებას. ავეჯის მზადება იწყო (ეხერხებოდა კიდეც!). ხელში ადვილად გამოუდიოდა. საწოლებს, კარადებს, ტახტებს ამზადებდა. დამხმარეც აიყვანა. ავეჯის მაღაზიაც გახსნა. ძველ ჩუქურთმებს, მზის დისკოს, ვაზის მტევნებს ტვიფრავდა ზედ. ნახვად ღირდა! შვილებსაც ასწავლა... საქჯრეთურებით მოამარაგა ისინი.

მერე ცოლი შეუჩნდა, ინგლისური ენის ცოდნის გარეშე წინ ვერ წავლენ შვილებიო, ცხოვრება გაუჭირდებათო, მუდამ ყრუ დაბაში ხომ არ იცხოვრებენო, და უცხოელი პედაგოგი რომ გამოჩნდა დაბაში, უფროსი ვაჟის, გაგას მომზადება იწყეს...

შინ აკითხავდა მასწავლებელს.. ძმაკაცი გამოუვლიდა და ორთავენი ერთად მიდიოდნენ. ამაში ცუდი არაფერი იყო. ახლაც იქ იყვნენ წასული. მაგრამ ბაბულია ბახტაძის მოულოდნელმა სტუმრობამ, ქალის ფერმკთალმა სახემ, წყენით ავსილმა მზერამ, რატომღაც ააფორიაქა მასპინძელი.

– *მობრძანდით!* – მსხვილი, ლაფართქალა კბილები გამოუჩნდა გუჯუს. უღიმოდა.

ხელი ჩამოართვა, შიშველ მხრებზე უმალ ხალათი მოისხა. ვეება ტორები, მკერდი, ხარის ქედი თუ ხარის თვალები უჩანდა. ტალავერქვეშ, ჩრდილში იჯდა, ფიცარზე რაღაცას კვეთდა, ღიღინებდა. ძველ სვანურ საგალობელს მღეროდა. ბოხი, ბუბუნა ხმა ჰქონდა. წამით ქალს მოეჩვენა, თითქოს უცხო ფრინველები ასხდნენ მამაკაცს მხრებზე. ხმებს უწყობდნენ. ახლა შეხმიანება, მათ დაფრთხობასა და გაფრენას ნიშნავდა..

სხვა რა გზა ჰქონდა!

რაზე ილაპარაკეს, რა გაამხილეს ან დამალეს, არავინ იცის.... ადგილზე გაქვავდა კაცი. ეს გაცრეცილი, კაფანდარა ქალი რაღაც ისეთს უმხელდა, რომ... ლამის სკამიდან გადავარდა კაცი, ერთბაშად წამოიჭრა ფეხზე, გავეშებულმა ისე მიიხედმოიხედა, იფიქრებდი, ვიღაცის მოკვლას აპირებსო.. უმალ გაერიდა ბაბულია. მიხვდა, შიგ გულში დაჭრა ეს თავმოყვარე, ამაყი კაცი. ეზოდან გადასვლა ვერ მოასწრო. ცოლიც გამოჩდა, თმახუჭუჭა, ღიმილიანი ქალი. სანამ დიასახლისი ბოსტნიდან მწიფე პამიდვრით სავსე კალათას გადმოიტანდა და სტუმარს შინ მიიპატიჟებდა, წასვლა ამჯობინა ბაბულიამ. უხმოდ გაეცალა. დაოთხილი გარბოდა (ქვეწარმავალი რომ შეაცოცება და იქაურობას მოწამლავს, იმგვარად...).

კაცს, არც სამართალი ეშლებოდა და არც კანონი, მაგრამ ახლა, ამ წუთში მისთვის ყველაფერი სულერთი იყო. არ დაინტერესებულა სად გაქრა ქალი, მოლანდებასავით რომ გამოჩდა. ზუსტად იქ დააჭირეს ფეხი, სადაც ყველაზე მეტად ტკიოდა. რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა, ამ გაფუჭებულ სამყაროში როგორ გინდა, თავი გადაირჩინო, ოჯახს ღირსება შეუნარჩუნო და შვილები წესიერად აღზარდო?!

ბაბულიას გამოჩენამ ერთი ხელის მოსმით გააქრო მისი სიამაყე, თავმომწონეობა. ფეხზე დგომა უჭირდა კაცს. ახალგაზრდის გამოუცდელობა, მიუხვედრელობა ზოგჯერ დამღუპველი ხდება. ყველა მამას იპყრობს შიში, ცუდ გზას არ დაადგეს შვილი... არ შერცხვეს, თავი არ შეირცხვინოს. უიღბლობის აქლემს ახლა მის ჭიშკართან ჩაემუხლა.

ცოლისკენ არ გაუხედავს, ვერც ქალმა გაუბედა კითხვა– სად მიდიხარო? მოეჩვენა, თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე, ტკივილიან გზაზე გარბოდა...

მანქანას ეცა. რძისფერი „ნოლ 6", ძველი და დანჯღრეული. გაქუცულ პიჯაკივით მოიცვა მხრებზე. გაჭედილივით ჩაჯდა, საჭე მკერდზე მიბჯენოდა. ჭიშკარი მოფრიალებული დატოვა!

გაოცებით შესჩერებოდა ცოლი, მუდამ ალერსიანი, თავმდაბალი ქალი. ქუჩაში შემხვედრი ნაცნობი მძღოლები გაოცებით აყოლებდნენ თვალს.

* * *

მიქროდა მანქანა. ქუჩის მეორე მხარეს დააყენა. ფრთხილად შეხსნა ჭიშკარი. ეზოში შევიდა, სახლი განათებული იყო. წინა ოთახში ხმები ისმოდა. ჩაგუდული სიცილი. მიპარვით მისვლა ამჯობინა, ერთბაშად თავზე წადგომა ეწადა.

გოლიათ კაცს ნაბიჯი გამსუბუქებოდა. სიფრთხილით აჰყვა კიბეს.

მთავარია, დიასახლისს არ გადაეყაროს, შაოსან ქალს. ორი წლის წინათ ქმარი გარდაეცვალა. სამი შვილი დარჩა, ბინის გაქირავება მისთვის ხელსაყრელი იყო. ყველაზე საუკეთესო ოთახი დაუთმო. სადილსაც თვითონ უმზადებდა. თუმცა! ნამზადით დიდად აღფრთოვანებული არ ჩანდა სტუმარი. ქართულ კერძებს ვერ ეგუებოდა. ერთხელ რომ გასინჯა, მეორედ აღარ მიეკარა. პრასით, ნიგვზით, კვაწარახით, ყვითელი ყვავილით, ქინძით და წიწაკით შეკმაზულ იმერულ ხარჩოს პირი არ დააკარა. დედლის ხორცი ამოიღო და ცალკე გაარეცხვინა. გაოცებული შესჩერებოდა ქალი. არც მჭადი მოიწონა, ღომმა ტუჩები დასწვა. მოკლედ, რაც არ გერგება, არ შეგერგებაო, კონსერვების ქილებით, ლუდის ბოთლებით აავსო სახლი. რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცესო, შორიახლო უვლიდა ქალი.

გუჯეჯიანის გამოჩენა არავის გაუგია, ფეხაკრეფით გაიარა აივანი. ერთბაშად შეაღო კარი. ყველანი ფეხზე წამოიშალნენ, ტელევიზორის გამორთვა ვერ მოასწრეს, ვერც კომპიუტერის, უკვე ხედავდა, რაც „ფეისბუქზე" მოჩანდა. ბიჭები გაოცებული შესჩერებოდნენ ბინაში შემოჭრილ ვეება კაცს. არადა, რაც დაინახა და წამიერად თვალი წაჰკრა, საკმარისი აღმოჩნდა!

– რას აყურებინებთ ბავშვებს, ესაა ინგლისური ენის სწავლა?! – ჩაგუდული ხმით იკითხა.

მიმოიხედა. შავკანიანი კაცი დივანზე გათხლაშულიყო. ეძინა თუ თავს იმძინარებდა, ვერ გაარკვევდი. უპირველესად შვილი მოიძია. მხრებში სწვდა და თავისკენ დაითრია. „რას უყურებ, ბიჭო, ტვინი არა გაქვს თავში?" გაავებულმა გაშლილი ხელი სახეში ჩაათფარა შვილს. (მტერს მოხვდა მისი მარჯვენა!) შებარბაცდა ბიჭი. ცხვირიდან სისხლი წასკდა. მერე მეორეს მისწვდა, შვილის ძმაკაცს, მალიმალ რომ აკითხავს, ეჩურჩულება. არ მოსწონს ეს ბიჭი. ქალივით აპრეხილი წამწამები და სველი, წითელი ტუჩები აქვს... პანტაპუნტით გამოყარა ბიჭები გარეთ. ლტოლვილი ბიჭი, ყველაზე მარჯვე და მარმაწა, გოლიათს ფეხებში გაუძვრა. ამასაც არ დაჯერდა, ერთი ხელის მოსმით ააყირავა მაგიდა. იატაკზე მიმოიფანტა რვეულები, წიგნები, საწერი კალმები. ღია ფანჯარაში ჯერ ტელევიზორი მოისროლა, მერე კომპიუტერი, ეკრანზე აციმციმებული სახეები თუ ხმები თან გააყოლა.

კედელს აჰკვროდნენ უცხოელები. შემცბარი და გაოცებული ჩანდნენ. ვერც დაუპატიჟებელი სტუმარი ეცნოთ. ბოლოს მოვიდნენ გონს. რაღაც იკითხეს. განაწყენდნენ. მათი გაავება სულ ფეხებზე ეკიდა გუჯუს. „მიდიმიდიო"-აუქნია ხელი. კიდევ იღბალი, იარაღი არ წამოიღო თორემ, ჩაცხრილავდა ორთავეს. თავის ნამოქმედარზე პასუხისმგებელი არ იყო.

არადა, „რას მიბედავო" – ექაჩება მილსონი. ხელი მოუქნია... გაარტყა კიდეც. არც გუჯუ დარჩა ვალში. ეგრე არ უნდაო და, ნიკაპქვემოდან ამოსცხო მუშტი. იატაკზე გაშხლართა. ფეხზე წამოდგომა გაუძნელდა მილსონს, როგორც იქნა წამობობღდა. კვლავ შემართა მუშტი, მოკრივის პოზაში დადგა. ახლა თავი ხეთქა ცხვირ-პირში გუჯუმ და... კივილი გაისმა. ბინის მეპატრონე შემოვარდა, შაოსანი ქალი, ქვრივი.

– *რას შვები, გუჯუ! თავი არ დაიღუპო! დაგიჭერენ...*
– *იყვირა ქალმა,* მკლავში ეცა გოლიათს.

– *დამიჭირონ, მე მაგათი...* – საცერს უგავდა თვალები.

– გამაგებინე, რა ხდება?!

– თავად იციან... სანამ დავხოცავდე აქედან უნდა წავიდნენ. ამ სახლიდან, ამ დაბიდან... ღრიალებდა. გუჯუ. მოუთმენლობას შეეპყრო, ძნელი იყო მისი შეკავება.

ცოტაც და, მეზობლები მოაწყდნენ ჭიშკარს. ახლო-მახლო მაცხოვრებლები. ჩანს, ხმაური გაიგონეს, ერთად შეყრილიყვნენ, ამდენ ხანს თუ შორიდან უთვალთვალებდნენ, ახლა ეზოში შემოვიდნენ. მიზეზს იძიებდნენ, ამ დინჯი, უთქმელი კაცის გაგიჟება უმიზეზოდ არ მოხდებოდა...

– *შარი არ აიკიდო! – ახსენებს ვიღაც* –მაგათ მთავრობა იცავს, პოლიცია დაგაპატიმრებს...

– აქედან უნდა წავიდნენ! მაგათ აქ ვერ მოვითმენთ ... ახლავე მანქანაში ჩაჯექით!–ბრძანებს გოლიათი. მისმა ჩახლეჩილმა ხმამ თითქოს განგაშის ზარი შემოჰკრა. და საოცარი რამ მოხდა, უცებ დამორჩილდნენ სტუმრები, განსაკუთრებით ფერადკანიანი ჩქარობდა. ბარგის შეკვრა იწყო. ყველაფერი ჩანთაში ჩატენეს. თითები უკანკალებდათ.

– *სად მიგყავს?! – ჰკითხა* ვიღაცამ.

– სადაც საჭიროა...

ბიჭები აღარსად ჩანდნენ, ოთხივე გამქრალიყო.

დაბის ცენტრი გაიარეს. ხონი-სამტრედიის გზას დაადგნენ. რიხინით მიიწევდა გუჯუს „ნოლ-ექვსი". ბოლს უშვებდა... კარები დასძველებოდა, ჟანგი მოსდებოდა. ჩქარობდა გუჯუ, დროულად გაცლას ლამობდა. გამვლელ-გამომვლელი ნაკლებად ჩანდა, საღამოს ბინდბუნდს ჩაემყუდროებინა სივრცე.

ერთბაშად ჩაილია გზა. სამტრედიის სადგური გამოჩნდა. საცაა მატარებელი ჩამოდგება. უნდა იჩქაროს.! რკინიგზის სადგურის ვრცელ მოედანზე დაფეთებით შეიჭრა. არც ბილეთი უყიდია, არც განრიგი უკითხავს. არც იმით დაინტერესებულა რომელ მხარეს მიდიოდა მატარებელი, მთავარია, ვაგონში დროულად შესვას ისინი. ბარგიც შეიტანოს.. არც ერთი წინააღმდეგობას არ უწევდა, პირიქით, თითქოს გასწრებაზე იყვნენ. თავად გადაიტანეს ჩანთები. ვაგონში ავიდნენ. ერთხელაც არ მოუხედავთ უკან. ნიკაპზე სისხლის მოზრდილი ლაქა აჩნდა მილსონს... დროულად გაცლას ლამობდა.

– შეხედავ და, ვაჟკაცი გეგონება... მშიშარა ყოფილა... –გაუელვა გუჯუს.

რა ხანია, თვალს მიეფარა მატარებელი. ბაქანზე, გაშეშებულივით დარჩა გუჯუ. ვერც წინ წადგა ნაბიჯი და ვერც უკან დაიხია.

– რა მოგვივიდა?! რატომ დავკარგეთ სტუმრის პატივისცემა?! ასე რამ შეგვცვალა?!– თავისდაუნებლიეთ გაიფიქრა.

მერე უხმოდ შემობრუნდა და მანქანაში ჩაჯდა. აამუშავა კიდეც...

**იანვარი, 2015 წ.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი პოროშენკოსთვის სასარგებლოა იმით, რომ ეს დასავლეთისთვის სიგნალია

**სააკაშვილის კანდიდატურა პოროშენკოს მრჩეველთა ხელმძღვანელის პოსტზე გარკვეულწილად წარმატებულია, განუცხადა ნოვოსტი-აზერბაიჯანს პოლიტოლოგმა ზარდუშტ ალიზადემ.**

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაინიშნა უკრაინის პრეზიდენტ პიოტრ პოროშენკოსთან არსებულ საერთაშორისო საკითხებზე მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ.

**„რამდენად სასარგებლოა ეს უკრაინისთვის, როდესაც ქვეყანამ უკვე დაკარგა ტერიტორიის ნაწილი, და ეს კიდევ ჯერ საზღვარი არ არის, და ამ თვალსაზრისით სააკაშვილის დანიშვნა — კარგი სიგნალი როდია რუსეთისთვის. ეს არ არის კარგი წვლილი რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებების პოტენციალში. პირიქით, ეს მხოლოდ გამაღიზიანებელი ფაქტორია, ხოლო, თუ პოროშენკომ გადაწყვიტა წავიდეს კონფრონტაციაზე რუსეთთან, მაშინ ეს მეტად ხელსაყრელი კანდიდატურაა“,** — აღნიშნა პოლიტოლოგმა.

მისი სიტყვებით, სააკაშვილის კანდიდატურას პოროშენკოს მრჩეველთა ხელმძღვანელის პოსტზე აქვს თავისი დადებითი მხარეები.

**„ამ ადამიანს აქვს სახელმწიფოს მართვის გამოცდილების დაახლოებით ათი წელი. მან თავის ქვეყანაში განახორციელა წარმატებული რეფორმები, აქვს პოლიტიკური ნება, განათლება მიიღო დასავლეთში, მას იცნობენ — ეს მისი პლუსებია.**

**მაგრამ იგი არის ასევე გაჭრილი კარტიც და მას დამნაშავის დაღი აზის. ადამიანმა, რომელსაც აქვს ყველა რესურსი, წააგო თავისი პოსტი, იმიტომ, რომ გადაჭარბებით აფასებდა თავის თავს და თავი ვერ გაართვა უბრალო მოქალაქეების უფლებებს“,** — ხაზგასმით აღნიშნა პოლიტოლოგმა.



როდესაც პოროშენკოზე საუბრობდა, მან აღნიშნა, რომ თავად პოროშენკო არც ისეთი ახალი კაცია პოლიტიკაში, ის იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი, და იანუკოვიჩის დროსაც ეკავა თანამდებობები.

**„ვფიქრობ, ისინი მონახავენ საერთო ენას, და კიდევ — სააკაშვილი სასარგებლოა პოროშენკოსთვის იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის სიგნალი დასავლეთისთვის, რომ მაქვს დასავლური კურსი და მივდივარ ნატოსა და ევროპისკენო“,** — გააკეთა მან რეზიუმე.

**ნიჯატ გაჯიევი,**
**„ნოვოსტი აზერბაიჯან“**

◉ ნაცები — უკრაინაში

# სააკაშვილმა 330 ათასი გრივნის ღირებულების „ROLEX“ შეიძინა

**უკრაინულმა გამოცემამ „vesti-ukr.com“ უკრაინაში გადახვეწილი ქართველი პოლიტიკოსების ცხოვრების დეტალები გაარკვია.**

გამოცემის ინფორმაციით, ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი ამ ეტაპზე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. **„ბინა ჯანდაცვის სამინისტროს მახლობლად, გორკის ქუჩაზე მდებარეობს, რათა საცობებში დრო არ დაიკარგოს“,** — განუცხადა გამოცემას პრესმდივანმა ტატიანა ციბამ.

საშუალოდ ბინის ქირა იქ თვეში 14-23 ათასი გრივნა ღირს. ის სამსახურში სამსახურის ავტომობილით — 28 ათასი დოლარის ღირებულების „Ford Mondeo“-თი გადაადგილდება. კოლეგების თქმით, მინისტრი ნამდვილი „კოფემანია“. ის ყავას მთელი დღის განმავლობაში სვამს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ეკა ზღულაძე-გლუკსმანს კიევის ცენტრში, პეჩერსკის რაიონში აქვს აპარტამენტები დაქირავებული. აქამდე ის შსს-ს სასტუმროში ცხოვრობდა, სადაც ნომერი დღე-ღამეში 400-დან 1200 გრივნამდე ღირს. ეს 90-იანების ავეჯით გაწყობილი, საბჭოთა სტილის ოთახები გახლავთ.

**„ეკა მიხეილის ასული სამინისტროს სასტუმროდან ერთი კვირის წინათ შსს-ს მახლობლად, ბინაში გადავიდა“,** — განუცხადა გამოცემას ზღულაძის თანაშემწე ანასტასიამ.

2-ოთახიანი ბინის ქირა იქ თვეში 14-25 ათასი გრივნა ღირს. შსს-ს თანამშრომლები ამბობენ, რომ ზღულაძეს მძღოლი დაჰყვება: **„ის მას როგორც ბავშვს, ისე ადევნებს თვალყურს. რადგან ხანდახან ის შეიძლება, ჩაფიქრდეს და დერეფნებში უბრალოდ დაიკარგოს“.** სამსახურში ის შეიძლება, გამოცხადდეს გაწელილ სვიტერში, აბსოლუტურად მაკიაჟის გარეშე — ეს მას არ ადარდებს.

მისი ბიოგრაფიით თუ ვიმსჯელებთ, ეკას ქმარ-შვილი პარიზში ცხოვრობს. ეს 35 წლის ჩინოვნიკის მეორე ქორწინებაა: 12 წელი მან თბილისელ შოუმენთან იცხოვრა, ხოლო 2011 წელს ცოლად ფრანგ ჟურნალისტსა და რეჟისორს რაფაელ გლუკსმანს გაჰყვა. ის საქართველოში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მრჩევლად მუშაობდა. ეკას და რაფაელს ვაჟი ალექსანდრე ჰყავთ. ამჟამად ეკა, შეიძლება ითქვას, უკრაინასა და საფრანგეთს შორის იხლიჩება. როდესაც ჩვენ ზღულაძეს დავუკავშირდით, ზუსტად მაშინ ის ქვეყნიდან იყო წასული.

**„ოჯახის მონახულებასთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა პირადი ბიუჯეტიდან ხდება“,** — აღნიშნა თანაშემწემ.

„facebook“-ზე ეკას გვერდი ცარიელია. როგორც ზღულაძე თავად აღიარებს, ის სოციალური ქსელების მხრივ „დინოზავრია“.

საქართველოს ექს-პრეზიდენტის კიდევ ერთი მეგობარი, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე გია გეწაძე დედაქალაქის სასტუმროში ცხოვრობს.

**„თუკი მოხერხდება, სამსახურთან ახლოს მინდა ბინის პოვნა. ოჯახის კიევში გადმოყვანა, სავარაუდოდ, არ გამოვა. ცოლი და უფროსი ვაჟი, რომელიც იურისტია, თბილისში მუშაობენ. ქალიშვილი 13 წლისაა, ის სკოლაში სწავლობს. ხოლო ყველაზე პატარა ოთხი წლის გახლავთ. ისინი მე მომინახულებენ“,** — ამბობს გეწაძე.

„ვესტის“ კორესპოდენტის დაკვირვებით, ჩინოვნიკი (გეწაძე) კიევში ქალი-მძღოლის საშუალებით ჰეჩბეკ „Mercedes A200“-ით გადაადგილდება. თავისუფალ დროს გეწაძეს უკრაინული ენის შესწავლა სურს, ხოლო თუკი სპორტისთვისაც დარჩება დრო, მაშინ აუზში ცურვა უყვარს.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბოლო პერიოდში უკრაინის ხშირი სტუმარია. კიევში ის ბიზნესმენებს კონსულტაციებს უწევს და ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. სააკაშვილის გარემოცვიდან ცნობილია, რომ ის ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში: Hilton-ში ან Fairmont-ში ჩერდება.

„საინტერესოა, რომ უკრაინაზე ლოცვის პერიოდში სააკაშვილმა 330 ათასი გრივნის ღირებულების „Rolex“ შეიძინა“, — წერს გამოცემა „vesti-ukr.com“.

**მოამზადა**
**ნენე სტეფანიშვილმა**

# დედამიწის ზურგზე



## ოლანდს მიაჩნია, რომ რუსეთისთვის „მისტრალის“ მიწოდებისთვის პირობები ჯერჯერობით არ შესრულებულა

**საფრანგეთის პრეზიდენტმა, როდესაც ბრიუსელში პარასკევ ღამით ევროკავშირის არაფორმალური სამიტის სხდომის დამთავრების შემდეგ პრესკონფერენციაზე გამოდიოდა, განმარტა, რომ მოსკოვისთვის ხომალდების გადაცემის პირობაა ცეცხლის შეწყვეტა შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში და მინსკის შეთანხმებათა რეალური შესრულება.**

## პოლონეთის ექს-პრემიერმა ცნობებს ევროკავშირის მოქალაქეთა უკრაინის ბრძოლებში მონაწილეობის შესახებ „პროპაგანდა“ უწოდა



**„დღეს ეს უფრო მეტად პროპაგანდაა, ვიდრე ფაქტი“, — თქვა ევროსაბჭოს ხელმძღვანელმა დონალდ ტუსკმა. მან დაუმატა, რომ ევროსაბჭოს არ აქვს იმის დადასტურება, რომ ევროპის ქვეყნების მოქალაქეები იბრძვიან უკრაინაში. ასეთი კომენტარი გაუკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ შეშფოთებას ტუსკმა, რომელიც ხორვატიის აღიარებამ გამოიწვია მისი დაქირავებულების დონბასში ყოფნის შესახებ.**

## შოიგუ ნიკარაგუას წინაშე დამსახურებისთვის ორდენით დააჯილდოვეს



**ნიკარაგუაში შოიგუ დაიმახსოვრეს, როგორც დამსახურებული გადამრჩენი: ის დაეხმარა მონიტორინგის სისტემის, საგანგებო შემთხვევათა მაუწყებლობისა და შედეგების ლიკვიდაციის შექმნაში. ამით მან ათასობით სიცოცხლე გადაარჩინა, პირადი ვიზიტის დროს კი დაიმსახურა ჯილდო — „ნიკარაგუას არმიის დიდი ჯვარი“.**

## პრესა: მინსკის პირველი შეთანხმებები შეიძლება, აფეთქდეს პირველსავე „ნაღმზე“ - დებალცევოს ქვაბში

**ექსპერტებს, როდესაც კომენტარს უკეთებენ მინსკში „ნორმანდიული ოთხეულის“ ღამის მოლაპარაკებას, ეჭვი ეპარებათ, რომ ხელმოწერილი დოკუმენტის დებულებები ცეცხლის შეწყვეტის, მძიმე შეიარაღების გაყვანისა და საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ შესრულდება. საკონტაქტო ჯგუფის მიერ ხელმოწერილი ზონების კომპლექსი მინსკის შეთანხმებათა რეალიზაციის შესახებ მხოლოდ „იმედის ნაპერწკლებს“ იძლევა.**



**არენა იქცა დუქნადა**

# ზედახორა სპორტის სასახლეში

**ერთ დროს თბილისს მართლაც რომ ამშვენებდა სპორტის სასახლედ წოდებული ლამაზი არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ პარტიულ მაღალჩინოსანთა ძალისხმევით აშენდა და საბჭოთა კავშირში გამორჩეული გახლდათ.**

კაცს გული მოგიკვდება, როცა საბურთალოზე გაივლი და სხვადასხვა ფუნქცია-დანიშნულების ობიექტების ალყაში მოქცეულ ჩვენი დედაქალაქის სიამაყის აწმყოს ადგილზე გაეცნობი. აქეთ „მაკდონალდსი“ და „საბვეი“, იქით მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები, ოფისები და თონე-სახაჭაპურეები. ჰოდა, მალე, ალბათ, აღარც გამოჩნდება ქუჩის მხრიდან ეს ორიგინალური კონსტრუქციის სარბიელი.

დამეთანხმებით, კიდევ უფრო სავალალოა თვით დარბაზის შიდა ტერიტორიის მწარე ხვედრი, რომელიც კერძო მფლობელებმა და გამქირავებლებმა სავაჭრო დუქნებად აქციეს და თითქმის ყველა შესასვლელი დღეს საკანცელარიო ნივთების, ავეჯის, „შმოტკებისა“ თუ სხვა წვრილმანმსხვილმანის ბაზრობას წარმოადგენს.



სხვისი არ ვიცი და მე განსაკუთრებით ის მიკლავს გულს, რომ ეს უმსგავსობა ლეგენდარული ფალავნისა და კაცობაში ჩემპიონთა ჩემპიონის გივი კარტოზიას სახელითა და სავაჭრო დახლებში ჩაკარგული მისი ბიუსტითაა შენიღბული.

გეკითხებით, არის თუ არა ეს, კონკრეტულად, ბატონი გივის ხსოვნისა და, ზოგადად, მთელი საზოგადოების შეურაცხყოფა?

* * *

ეს სტრიქონები ადრეც უნდა დაწერილიყო, მაგრამ მოთმინების ფიალა მსოფლიო ბანის პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოსადმი მიძღვნილმა ტელესიუჟეტმა ამივსო. ერთადერთი კარი იყო ღია და შექმნილმა ზედახორამ დღესასწაული ჩაგვაშხამაო — აღშფოთებას ვერ მალავდნენ მაყურებლები, რომლებმაც ბილეთში სოლიდური თანხა გადაიხადეს და პრეტენზია სავსებით საფუძვლიანად გამოთქვეს.

რატომ? — ამ კითხვაზე პასუხს ორგანიზატორების, უპირველესად, „არტ პალასის“ მესვეურთაგან და სპორტის სასახლის მსახიობ-მომღერალ- დირექტორ გიო ხუციშვილისგანაც ველით, რომელიც, საინტერესოა, რა კრიტერიუმით შეარჩიეს ასეთ პასუხსაგებ თანამდებობაზე დასანიშნად?

**გია პლატონიშვილი**

**კვირას, 15 თებერვალს...**

# „ერთსულოვნების“ კიდევ ერთი ეროვნული საქმე,

**ანუ შევქმნათ კვალიფიციური კადრების ელექტრონული ბანკი**

კოალიცია „ერთსულოვნება“, რომლის თავმჯდომარეც გახლავთ ბატონი **მიხეილ ანდღულაძე,** ყოველთვის ქვეყნისთვის სასარგებლო და ქართული საქმისათვის შემართებული ინიციატივებით გამოდიოდა არა მარტო წინა ხელისუფლების დროს, როდესაც მის წევრებს სდევნიდნენ ისე როგორც ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს, არამედ ახლაც, ახალი ხელისუფლების პირობებშიც.

ახალი ინიციატივა, რომელიც მართლაც საშური საქმეა და დიდად წაადგება არა მარტო გაჭირვებულ ყოფაში ჩავარდნილ ჩვენს თანამემამულეებს, არამედ ჩვენს ხელისუფლებასაც, მართლაც ყურადსაღებია.

როგორც ბატონმა მიხეილმა განაცხადა, კოალიციაში შეიქმნა საზოგადოებრივი კოლეგია, რომელიც **კოალიციასთან პარალელურად ჩამოაყალიბებს მარტივად შესასრულებელ, ქვეყანაში საყოველთაო დასაქმების პროგრამის ძირითად თეზისებს და მთავრობას მოსთხოვს მათ შესრულებას. შეიქმნება კვალიფიციური პროფესიული კადრების ელექტრონული ბანკი, რომელიც წარედგინება ხელისუფლებას საყოველთაო დასაქმების განხორციელების მიზნით.**

ჩვენს ქვეყანაში უამრავი პროფესიონალია დაუსაქმებელი, რომელთა გამოცდილებაც წაადგება ქვეყანას. ყველას, ვისაც მიაჩნია, რომ მზად არიან, ჩაერთონ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში, საშუალება ეძლევათ თავიანთი სამსახურებრივი გამოცდილების ინფორმაცია — CV გადააგზავნონ კოალიცია „ერთსულოვნების“ ელექტრონული ფოსტის მისამართზე — ersaufle@yahoo.com ამის საშუალებით შეიქმნება პროფესიული კადრების ელექტრონული ბანკი და შემდგომ წარედგინება საქართველოს მთავრობას.

კოალიცია „ერთსულოვნებაში“ გაერთიანებული სამასზე მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაციის და საზოგადოების მონაწილეობით დაიწყება ხელმოწერები საქართველოს მასშტაბით. ეს იქნება პეტიცია ხელისუფლებისადმი მოთხოვნით: **შემუშავებულ და განხორციელებულ იქნას ქვეყანაში საყოველთაო დასაქმების ეროვნული სტრატეგია.**

**სწორედ ამის გამო ამა წლის 15 თებერვალს, კვირას, ჭადრაკის სასახლეში გაიმართება საზოგადოებრივი შეკრება, სადაც ყველა მსურველს საშუალება ექნება, მიიღოს მონაწილეობა და ხელი მოაწეროს პეტიციას.**

**ავთანდილ ბექაური**

## განცხადება

2015 წლის 7 აპრილს, 12 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: დ. მესტია, სეტის მოედანი №1) გაიმართება კასლეთი 2 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტის ხაიშის თემის ტერიტორიაზე, მდ. კასლეთზე 9,13 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

.მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - დ. მესტია, სეტის მოედანი №1,;

.შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

.იოსებ ნატროშვილი. ტელ: 577 35 00 01; E-mail: jnatroshvili@hydrolea.com;

.ჯულული ახვლედიანი. ტელ: 595 59 52 55; E-mail: j.akhvlediani@gamm.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

**შპს „ჰიდროლეას“ ადმინისტრაცია**

**გერმანული კინო ბერლინალეზე**

# კლასიკოსები და ახალი მზერა

**წლევანდელი ბერლინის 65-ე საერთაშორისო კინოფესტივალი გერმანული ფილმების სიუხვით გამოირჩევა. ერთ მეოთხედზე მეტი 441 ბერლინალეს ფილმებიდან გერმანულია, ან გერმანული კოპროდუქციაა.**

ალბათ, არც ყოფილა ისტორიაში, რომ საკონკურსო პროგრამაში ერთბაშად 5 გერმანული ფილმი მონაწილეობდეს. ვერნერ ჰერცოგი, ვიმ ვენდერსი, ანდრეას დრეზენი, სებასტიან შიპერი, ოლივერ ჰირშბიგენი. ეს ჩამონათვალი საკმარისია საიმისოდ, რომ არა მხოლოდ გერმანული კინოს კლასიკოსებზე, არამედ ახალგაზრდებზეც ვისაუბროთ.

ბერლინალემ გადაწყვიტა, რომ ვიმ ვენდერსი ზოგადად, თავისი შემოქმედებისათვის ოქროს დათვით დააჯილდოვოს. ბუნებრივია, მისი ახალი ფილმი ოფიციალურ პროგრამაში შეტანილია, მაგრამ კონკურსში არ მონაწილეობს.

გერმანული კინოს კლასიკოსი ვერნერ ჰერცოგი წითელ ხალიჩაზე ნიკოლ კიდმანთან და ჯეიმს ფრანკოსთან ერთად გამოჩნდა. მის ახალ ფილმში „უდაბნოს დედოფალი“ ჰოლივუდის ვარსკვლავი ნიკოლ კიდმანი მთავარ როლს ასრულებს.

ჰერცოგს, როგორც ყოველთვის ხიბლავს ბუნების სტიქია და ძლიერი ადამიანი ამ ბუნებაში. რეჟისორი ბრიტანელი მწერლის, ისტორიკოსის, არქეოლოგის და დიპლომატის გერტრუდ ბელის ცხოვრების ეპიზოდებს აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის ფონზე გვიჩვენებს. ბუნების სტიქია, მისი ძალა ჰერცოგის ფილმებში, თითქოს ადამიანებს იპყრობს. ბრიტანეთის სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პერსონა გერტრუდ ბელი ისტორიაში არა მხოლოდ მისი გამბედაობით და სამშობლოს ერთგულების გამო შევიდა, არამედ უდიდესი როლი შეასრულა ქალთა ემანსიპაციაშიც. ფილმში ახალგაზრდა ჩერჩილიც ჩნდება. ცნობილია, რომ ჩერჩილი და გერტრუდ ბელი მეგობრობდნენ.

კლასიკოსების მზერიდან გადავინაცვლოთ თანამედროვე გერმანულ რეალობაში: სრულიად მოულოდნელი იყო ახალგაზრდა რეჟისორის სებასტიან შიპერის ფილმი „ვიქტორია“, რომელიც ბერლინელი ახალგაზრდების ერთი ჯგუფის ცხოვრებას ასახავს. ფილმი 2 საათი და 20 წუთი მიმდინარეობს. თითქოს რეპორტაჟული კინოა. ეს დრო დაყოფილია ამ ახალგაზრდების მიერ ბანკზე თავდასხმის ერთი საათის წინ და ერთი საათის შემდეგ. ფილმი გადაღებულია ე.წ. გაუჭრელი, უწყვეტი კადრით, როცა ვერ გრძნობ, სად იწყება და სად მთავრდება ეპიზოდი. მაყურებელს ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ფილმი ერთი ამოსუნთქვითაა გადაღებული. სებასტიან შიპერის ფილმი ძლიერი, შთამბეჭდავი და თანამედროვე პრობლემებითაა დატვირთული. ახალგაზრდების ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ ძალიან სწრაფად, კრიმინალური გზით შეიძლება იშოვო ფული და პასუხი არ აგო შენს საქციელზე. ეს გზასაცდენილი ახალგაზრდები მაშინ აცნობიერებენ საკუთარი საქციელის სიმძიმეს, როცა დანაშაულის პირისპირ აღმოჩნდებიან. ფილმში შესანიშნავადაა აღმოჩენილი ბერლინის სუბკულტურა: ტიპური ბერლინური სურათი — ღამის კლუბებში გართობა, ალკოჰოლი, ნარკოტიკი, ელექტრო მუსიკა, დამანგრევლად რომ მოქმედებს ახალგაზრდის ფსიქიკაზე.

ფილმის ერთ-ერთი გმირი ვიქტორია ესპანელია. იგი ჯერ კიდევ არ არის ადაპტირებული ქალაქის რიტმთან. იგი ნიჭიერი ახალგაზრდა ქალია. თავის სამშობლოში კონსერვატორიაში სწავლობდა. ბერლინში კი, ერთ-ერთ კაფეში მუშაობს. ვიქტორია ღამის ბარში გაიცნობს რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭს და მოულოდნელად ჩათრეული აღმოჩნდება კრიმინალურ ისტორიაში. ამ ისტორიას კიდევ სხვა, უფროსი თაობის კრიმინალები განკარგავენ. ისინი თავგზააბნეულ ახალგაზრდებს აჩვევენ ძალადობას, ნარკოტიკებს, უბიძგებენ დანაშაულის ჩადენისაკენ. ამ ყველაფრის უკან დგას ანტიმორალი, რომ ყველა გზა, საშუალება შეიძლება გამოიყენო მიზნის მისაღწევად და შემდეგ არ აყოვნებს. ფილმის მთავარი გმირები ამ გარემოების მსხვერპლნი არიან. ფილმის ფინალში, ფაქტობრივად, ყველა პერსონაჟი იღუპება, ვიქტორიას გარდა. ვიქტორია, რომელიც ფილმის დასაწყისში ერთი ჩვეულებრივი გოგოა, თანდათან ფილმის მსვლელობის დროს მებრძოლ ქალად გადაიქცევა. ფილმის თითოეული სცენა მეტად ემოციური, დაძაბული იყო. აღსანიშნავია ერთი კადრი — ღამით, კაფეში, ვიქტორია ფორტეპიანოსთან და ერთადერთი მსმენელი ვაჟი სახელად ზონე, რომელიც მოხიბლულია ვიქტორიათი. ეს კადრი საოცარ ლირიზმს, სინაზეს ჰმატებს ფილმს. ეს სცენა ალბათ შემთხვევითი იმპროვიზაცია იყო ფილმისთვის.

არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ფილმის ოპერატორი დანიელი სტურლა ბრანდტ გროვლენის ბრწყინვალე ნამუშევარი. მსახიობთა უნიჭიერესი ანსამბლი: ლაია კოსტა, ფრედერიკ ლაუ, ფრანც როგოვსკი, ბურაკ იგითი, მაქს მაუფი, ანდრე ჰენიკე.

თუ სებასტიან შიპერი ბერლინალეს აღმოჩენაა, ანდრეას დრეზენი ბერლინალესათვის საკმაოდ ნაცნობი სახელია! თუ შიპერი 21-ე საუკუნის ახალგაზრდა თაობის ერთი ნაწილის ცხოვრებას ასახავს, დრეზენი გდრ-ის აღსასრულს გვიჩვენებს და ამ აღსასრულში ისიც ახალგაზრდების ერთი ჯგუფის ცხოვრებას გვიჩვენებს. ამ აღსასრულის მიღმა ქვეყნის ბიოგრაფია და ადამიანების ბედის მსხვრევაც იგულისხმება.

ფაქტობრივად, მთავრდება ერთი დიდი, საშინელი ეპოქა და იწყება ახალი და შეუცნობელი... მაგრამ ამ ახალს ფილმის გმირები ვერ იგრძნობენ, რადგან მათი ბედი ისევ გარდასულ პიონერულ ეპოქას უკავშირდება. იმ დროს, როცა ისინი ფიცს დებდნენ და მექანიკურად იმეორებდნენ, „მზად ვართ“!

მიუხედავად იმისა, რომ დრეზენისა და შიპერის ფილმებს არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, მათ მაინც აერთიანებთ ამბოხებული, თავგზააბნეული, კრიმინალი ახალგაზრდების თემა. იდეა, რომ უკიდეგანო თავისუფლება შობს ქაოსს, ორივე ფილმისათვის მნიშვნელოვანია და ეს ნიშნავს, რომ მოცემული თემა უაღრესად აქტუალურია თანამედროვე გერმანული საზოგადოებისათვის. შიპერსაც და დრეზენსაც აწუხებს და აინტერესებს გზასაცდენილი ახალგაზრდების ბედი. მათ აინტერესებთ მიზეზი, რატომ ხდებიან ახალგაზრდები იმ სასტიკი, ბრუტალური, მკაცრი და დაუნდობელი სამყაროს მსხვერპლნი.

**ლია ვიტეკი, ჰელენე ვიტეკი**

◎ ჭიდაობა



# ტახტის ტურნირის ტახტზე

**ირანში დაიწყო „ტახტის თასის“ გათამაშება თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში. ამ პრესტიჟული შეჯიბრების პირველ დღეს საქართველოს ფალავნებმა 1 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა ელიზბარ ოდიკაძემ. ფინალისკენ მიმავალ გზაზე მან ჯერ თანაგუნდელი ზვიად მეტრეველი ჩამოიშორა, მერე მასპინძლებს — საიდ იბრაჰიმსა და აბაზარ ისლამს აჯობა. ფინალში ქართველმა ფალავანმა ირანელთა კერპი — მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონი და შარშანდელი ბრინჯაოს მედალოსანი ჰასან რაჰიმი დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მესამე ადგილები ქუთაისელმა ბექა ლომთაძემ (თავისუფალი, 61), ბათუმელმა მარად აბულაძემ (66) და წყალტუბოელმა ირაკლი ქაჯაიამ (ორივე — „კლასიკური“, 98) დაიკავეს.

**ლევან ცინცაძე**

**სურათზე: ელიზბარ ოდიკაძის ფინალური ორთაბრძოლა.**

◎ ძალოსნობა



# ფიცარნაგზე - ჭაბუკები

**წლეულს 1-9 აგვისტოს შვედური ლანდსკრონა 15 და 17-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისთვის წევრობის კანდიდატების შესარჩევად დედაქალაქის მერიის მხარდაჭერით თბილისის ღია პირველობა გაიმართა. შეჯიბრებაში სხვადასხვა კუთხის 50-ზე მოზარდი მონაწილეობდა.** ორდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: დავით ბენიძე (ქუთაისი, 40 კგ) — 93 (40+53 კგ), საბა ანთაური (თბილისი, 45) — 90 (40+50), კახი ასანიძე (თბილისი, 50) — 147 (65+82), აჩიკო მალაყმაძე (თბილისი, 56) — 169 (81+88), ირაკლი მოსიძე (ქუთაისი, 62) — 180 (80+100), გიგი პატარაშვილი (თბილისი, 69) — 241 (105+136), რევაზ დავითაძე (თბილისი, 77) — 285 (133+152), გოგიტა კაკიაშვილი (ქობულეთი, 85) — 255 (117+138), გიორგი ლომთაძე (ქუთაისი, 94) — 222 (98+124), მამუკა ალიშანიძე (ქობულეთი, +94) — 237 (105+132),

თბილისის პირველობაზე სინკლერის ცხრილით აბსოლუტური გამარჯვებული გახდა რევაზ დავითაძე — 360 ქულა. მას 31 ქულით ჩამორჩა ირაკლი მოსიძე. 322 ქულით მესამე ადგილი გიგი პატარაშვილს ერგო.

**გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:** 1. თბილისი (287), 2. აჭარა (171), 3. ქუთაისი (144 ქულა).

**მარტის დასაწყისში საქართველოს პირველობაზე 15-წლიანთა ნაკრების წევრობის კანდიდატებს შეარჩევენ.**

**გივი გაგუა**

**სურათზე: რევაზ დავითაძე.**

◎ რაგბი

# გადახალისებული შემადგენლობით

**დღეს 17 საათიდან ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე „რაგბი ევროპის ჩემპიონატის“ მონაწილე საქართველოს და პორტუგალიის ეროვნული გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. „ბორჯღალოსანთა“ ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა დაასახელა მასპინძელთა ნაკრები, რომლის ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად 11 ცვლილება შეიტანა.**

„მოუთმენლად ველით 2015 წლის პირველ საშინაო მატჩს. პორტუგალია ჩვენთვის რთული მეტოქეა. ძირითად შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, პორტუგალიელებთან მატჩისთვის მაინც მოვახერხეთ ძლიერი და გამოცდილი გუნდის დაყენება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ თითოეულ პოზიციაზე არჩევანის გაკეთება უკვე რამდენიმე მოთამაშეს შორის შეგვიძლია.“ — თქვა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა.

**შაბათს გუნდები ასეთი შემადგენლობით გამოვლენ მოედანზე:**

**საქართველო:** მერაბ კვირიკაშვილი, თამაზ მჭედლიძე, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, მურაზ გიორგაძე, ლაშა მალაღურაძე, გიორგი ბეგაძე. კარლენ ასეიშვილი, ზურაბ ჟვანია, ლევან ჩილაჩავა, გიორგი ჩხაიძე, კონსტანტინე მიქაუტაძე, დიმიტრი ბასილაია, შალვა სუთიაშვილი, ლაშა ლომიძე. შალვა მამუკაშვილი, მიხეილ ნარიაშვილი, დავით ზირაქაშვილი, გიორგი ნემსაძე, გიორგი თხილაიშვილი, ვასილ ლობჟანიძე, ლაშა ხმალაძე, გიორგი აფციაური.

**პორტუგალია:** ბრუნო მედეიროში, დიეგო ფან დენ ტორნი, ფრანსისკუ აპლეტონი, ფრანსისკუ მაგალიაეში, მიგელ ვილასა, ნუნო კოშტა, თომას აპლეტონი, ტომაშ ნორონა, ბრუნო როჩა, დუარტე მარ-



კეში, დავიდ დოს რეისი, ფრანსისკუ ფერნანდეში, ჟულიენ ბარდი, პედრო ავილა, მანუელ მურტეირა, მანუელ პერეირა, მაქსიმ ტონიეტა, მაიკ ტაჯერი, ნუნო ტაფული, სალვადორ ვასალო, ტონი მარტინში, ვასკო უვა.

**დღესვე ითამაშებენ:** გერმანია-რუსეთი, რუმინეთი-ესპანეთი.

**ლაშა დიდია**

◎ კალათბურთი

# ევროთასზე ქართული დუელი ახლოვდება

**რანგით მე-2 ევროპულ საკალათბურთო ტურნირ — ევროთასზე ყველა მერვედფინალი დაკომპლექტდა.** შეგახსენებთ, რომ ქართველი გულშემატკივრისთვის გამორჩეული ის წყვილია, რომელშიც გიორგი შერმადინის „კანტუ“ვიქტორ სანიკიძის „უნიქსს“ გაეჯიბრება, მომავალი მატჩების სრული ნუსხა კი ასეთია.

A: უნიქსი (რუსეთი) — კანტუ (იტალია),
B: გრან კანარია (ესპანეთი) — ცედევიტა (ხორვატეთი),
C: ვირტუსი (იტალია) — ბანვითი (თურქეთი),
D: ხიმკი (რუსეთი) — ზენიტი (რუსეთი),
E: ბაიერნი (გერმანია) — ვალენსია (ესპანეთი),
F: ტუროვი (პოლონეთი) — პარი ლევალუა (საფრანგეთი),
G: ქარშიაქა (თურქეთი) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა),
H: ლოკომოტივი (რუსეთი) — ბროზე ბასკეტსი (გერმანია).



მერევდფინალური მატჩები 3-11 მარტს შედგება და უკვე ცნობილია, რომ მეოთხედფინალში წყვილები ამ პრინციპით შედგება: A-ს გამარჯვებული — H-ს გამარჯვებული, B-G, C-F, D-E. მეოთხედფინალები 17-25 მარტს გახლავთ დაგეგმილი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ფეხბურთი

# ივანოვიჩი გადარჩა, „ჩელსი“ და „ევერტონი“ ბრალდებულნი არიან

**ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ინფორმაციით, ლონდონის „ჩელსის“ და ლივერპულის „ევერტონის“ პრემიერლიგის 25-ე ტურის დაპირისპირების 86-ე წუთზე მომხდარი ინციდენტის გამო ორივე კლუბი ბრალდებულად სცნეს.**




მოედანზე შექმნილი არეულობის გამო შესაძლოა ორივე გუნდი დაისაჯოს. იმ შემთხვევაში, თუ 17 თებერვლამდე ისინი თავს ვერ გაიმართლებენ, ასოციაციის სასჯელს მიიღებენ.

აღნიშნული ინციდენტი ვილიანის წაქცევით დაიწყო და მალევე არეულობაში გადაიზარდა. ფეხბურთელები ერთმანეთს შეეკამათნენ და ივანოვიჩმა მაკარტის ყელში ხელი წაუჭირა, რაც მსაჯმა დაინახა კიდეც. არბიტრების მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ სერბს დანაშაული არ ჩაუდენია, მისი დასჯა არ შეიძლებოდა და შესაბამისად ბალკანელი სასჯელს გადაურჩა.

მსგავს შემთხვევებში ასოციაცია ფეხბურთელებს ავტომატურად სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით სჯის. ლონდონის „ჩელსის“ უკვე ჰყავს დისკვალიფიცირებული დიეგო კოშტა — ესპანელმა „ლივერპულის“ წინააღმდეგ მატჩში ემრე ჩანის წინააღმდეგ ითამაშა უხეშად. საერთოდ, იმ შეხვედრაში ბრაზილიური წარმოშობის თავდამსხმელი აგრესიული გახლდათ და დაისაჯა კიდეც.

**გიორგი შოთაძე**

◎ ხსოვნა

# 5 წელი ვანკუვერის ტრაგედიიდან

კანადის ქალაქ ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის XXI ოლიმპიადა საქართველოსათვის ტრაგიკულად დაიწყო. თამაშების გახსნის ოფიციალური ცერემონიის სტარტამდე



რამდენიმე საათით ადრე უისტლერის საციგაო ტრასაზე საცდელი დაშვებისას ქართველი მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი ფატალურ შემთხვევას ემსხვერპლა.

საქართველოს ოლიმპიური გუნდის გამორჩეულ და პერსპექტიულ სპორტსმენს მართლაც დიდი მომავალი ჰქონდა, რომ არა ეს საბედისწერო დაშვება.

ნოდარ ქუმარიტაშვილი შრომისმოყვარე, ნიჭიერი, მიზანდასახული, მრავალმხრივად განათლებული ახალგაზრდა გახლდათ.

სპორტისადმი უსაზღვრო სიყვარულმა და პროფესიონალიზმმა მას ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ნანატრი საგზური მოაპოვებინა და დიდი გეგმებიც დაუსახა. ვანკუვერში მომხდარმა ტრაგედიამ შეძრა მთელი მსოფლიო, სოლიდარობა და ღრმა სამძიმარი გამოხატა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და ზოგადად სპორტულმა საზოგადოებამ ქუმარიტაშვილის ოჯახის და მთლიანად საქართველოს მიმართ.

ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელის უკვდავსაყოფად და მისი ხსოვნისადმი პატივის მისაგებად საქართველო და საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობა მუდამ ერთსულოვანი იქნება.

ნოდარ ქუმარიტაშვილი მხოლოდ 21 წლის იყო.

**კობა კობახიძე**

◎ ინტერნეტიდან

# მაგდალენა ფრაცკოვიაკი პოდოლსკის ეტრფის

**პოლონელი მოდელი მაგდალენა ფრაცკოვიაკი ამბობს, რომ წარმოშობით პოლონელ ფეხბურთელზე, გერმანიის ნაკრების ყოფილ მეგოლეზე ლუკაშ პოდოლსკიზეა შეყვარებული და მისი ოცნებაა, რომ ლუკაში თუნდაც ერთხელ მაინც შეიტყუოს საძინებელში.**

სურვილი სურვილად, მაგრამ, როგორც იცით, პოდოლსკი ცოლიანი კაცია და თან ისეთი კაპასი თანამეცხედრე ჰყავს, მშვენიერ მაგდალენას თუ სადმე დაუხვდა, კუდზე რა გითხრათ და მკერდით კი ნამდვილად ასროლინებს ქვას. თუმცა, ფრაცკოვიაკიც არ ჩანს ჯაბანი და ბედის ანაბარად მყოფი ვინმე.




აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ მაგდალენა ფრაცკოვიაკი აქამდე გათხოვილი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მისი საყვარლებისა და გულისსწორთა გმინვა-კვნესა არაერთხელ გაუგონია ვარშავის მრავლისმნახველ კედლებს. კედლები კი, სამწუხაროდ, არ ლაპარაკობენ და არც ჟურნალისტებს აძლევენ ინტერვიუებს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

## „ჩვილების საქმე“

# საზღვარზე „ყალბი საბუთებით უცხოელ გეიპირებს გააყვანინეს“

**„ჩვილების საქმის გაჭიანურებით პროკურატურა საფრთხეში აგდებს ჩემს სიცოცხლეს. მას შემდეგ, რაც უარი მითხრეს მოწმის დაცვის პროგრამაში ჩართვაზე, ჩემმა მეუღლემ იმ გამოსავალს მიაგნო, რომ ორივეს გვყავს ერთი და იგივე მარკის, ფერის, ერთნაირი ნომრით ავტომობილები და არავინ იცის, მე რომელ მანქანაში ჩავჯდები დილით. ამით თავს ვიცავთ, გარკვეულწილად, ერთდროულად არ ვსხდებით მანქანაში, ვერიდები დილით დაქოქვამდე ბავშვების ჩასმას მანქანაში. გვიანობამდე ველარ ვრჩები სამსახურში. ზოგს სასაცილოდ ეჩვენებოდა, როცა ვამბობდი, მეშინია, არ ამაფეთქონ-მეთქი, დღეს უკვე აღარ უკვირთ. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?“ — აცხადებს For.ge-სთან საუბარში ასოციაცია „მომავლის იმედის“ თავმჯდომარე თამარ ხაჭაპურიძე.**

**სულ ახლახან მან ღია წერილით მიმართა ბიძინა ივანიშვილს და პირადად მასაც აცნობა, რომ ყალბი საბუთებით ჩვილები საზღვარზე უცხოელ მამაკაცებს, გეიპირებს გააყვანინეს.**

**— ჩვილების საქმესთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილთან ღია წერილში თქვენს შესაძლო ლიკვიდაციაზე საუბრობთ. ვინმე გემუქრებათ?**

— იური ვაზაგაშვილსაც არავინ ემუქრებოდა, მაგრამ ააფეთქეს. ამიტომ, ნუ განვსაზღვრავთ საშიშროებას იმით, ემუქრებიან თუ არა კონკრეტულ ადამიანებს. რაც შეეხება მუქარას, ასეთი ჩემი მისამართით ნამდვილად იყო. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მივმართე პროკურატურას და დავწერე კიდეც, რა ტიპის მუქარას ჰქონდა ადგილი, მოვითხოვე მოწმის დაცვის პროგრამაში ჩართვა, რაზეც უარი მივიღე. საქმე ისაა, რომ მე პროკურატურას წარვუდგინე მტკიცებულებები ჯგუფურად ჩადენილ ისეთ დანაშაულზე, რომელიც 15-წლიან სასჯელს ითვალისწინებს. ის ადამიანები, ვინც ამ დანაშაულებრივ ქმედებებში არიან ჩართულნი, ძალიან გამდიდრდნენ. არადა, ციხე ემუქრებათ ჩემს მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამო. ამიტომ, ლოგიკურია, მათი მხრიდან ლიკვიდაცია მემუქრებოდეს. ამ ფონზე პროკურატურა არაფერს აკეთებს.

რაც შეეხება სიახლეს, რასაც ჯერ არც ერთ ინტერვიუში არ შევხებივარ, ორი თვის წინათ, როდესაც გამომძიებელს შევხვდი (შეხვედრას საია-ს ადვოკატი და ჩემი ადვოკატიც ესწრებოდნენ) გამომძიებელ მალხაზ სამსონიშვილს ვკითხე — დამისახელეთ, რა მტკიცებულება დაგრჩათ მოსაპოვებელი-მეთქი, რადგან საქმე აღძრულია სსკ 344-ე პრიმა მუხლით, რაც საზღვარზე ყალბი დოკუმენტებით გადაყვანას ითვალისწინებს და რაზედაც უკვე ყველა მტკიცებულება არსებობს. გამომძიებელმა აბსოლუტურად ალოგიკური პასუხი გამცა, რომ საზღვარგარეთიდან ამ ბავშვების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ელოდებოდა. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია საინტერესოა და სწორედ ამ ბავშვების უფლებებზე ვზრუნავთ, მაგრამ 344-ე პრიმა მუხლით აღძრულ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად არ აქვს მნიშვნელობა, ბავშვების მდგომარეობაზე კარგი პასუხი მოვა თუ ცუდი, ის ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ისინი საზღვარზე უკანონოდ გადაყვანილნი არიან. გამოძიება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს უკვე საზღვარგარეთ ამ ბავშვების მდგომარეობის მოკვლევაზე.

ჩემმა ადვოკატმა შეკითხვა დაუსვა გამომძიებელს, კი მაგრამ, რამდენი თვეა, რაც ელოდებით საზღვარგარეთიდან პასუხებსო. მან უპასუხა, ბრიტანეთში გავგზავნეთ შეკითხვები რამდენიმე თვეა, ჯერ არ მიგვიღია პასუხი, ახლა ხელახლა გავგზავნით, სხვა ქვეყნებში კი ჯერ არ გაგვიგზავნიაო. ვუთხარი — ერთდროულად რომ გაგეგზავნათ შეკითხვები ამ ქვეყნებში, არ შეიძლებოდა-თქო? ის, რომ ამათ ეს საქმე საერთოდ არ აინტერესებთ, აქედანაც ჩანს, რომ სახალხო დამცველმა დეკემბერში წერილი მომწერა, სადაც იგივე წერია, რომ თურმე სახალხო დამცველისთვისაც უცნობებიათ, ბრიტანეთიდან ველოდებით პასუხებსო და სხვა ქვეყნებშიც გასაგზავნი გვაქვსო. როდესაც პროკურატურა მიხვდა, რომ გამოძიება დასრულებულია, ბრალის წაყენების დროა, საქმის გაჭიანურების მიზეზები ბოლომდე ამოიწურა და ჩიხში არიან მოქცეულნი, გადაწყვიტეს, 344-1 მუხლით აღძრული საქმე გადააკვალიფიცირონ და ტრეფიკინგის მუხლით გააგრძელონ გამოძიება, რადგან ტრეფიკინგის მუხლით ძალიან ძნელია მტკიცებულებების მოპოვება. ამ შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს, რომ გაყვანილი ბავშვები მონურ მდგომარეობაში, ექსპლუატირებულები არიან და ა.შ.

**— ცნობილია, რომ ამ ჩვილების შემთხვევაში, ბუნებაში არ არსებობს კანონიერი დედა. როგორ ფიქრობთ, სუროგატი დედები გეიწყვილებს ემსახურებიან?**



— ეს ბავშვები დონორული უჯრედებით არიან ჩასახულნი და სუროგატი დედის საშვილოსნოში ხდება მათი გამოზრდა. საქართველოს კანონით, სუროგატ დედას არა აქვს მშობლად ცნობის უფლება, რადგან ის არ არის გენეტიკური დედა, ის მხოლოდ ასრულებს, ასე ვთქვათ, ინკუბატორის როლს, ატარებს სხვა ქალის კვერცხუჯრედისგან მიღებულ ემბრიონს. ეს ძალიან კარგი კანონია, რომ სუროგატი დედა არ ითვლება კანონიერ დედად, რადგან ეს ხელოვნური ჩასახვის ტექნოლოგიებს გასაყიდი ბავშვების წარმოების ტექნოლოგიებად ქცევისგან იცავს. მაგრამ, სწორედ ამ კანონის დარღვევით მოქმედებენ დამნაშავეები. თუ სუროგატს დედად გააფორმებ, შეგიძლია, ის ბავშვი გააყიდინო ნებისმიერ პირზე, თუკი მას აიძულებ მამად დაასახელოს მყიდველი. სუროგატებს აიძულებდნენ, მოეტყუებინათ სამშობიარო, თითქოს, ჩვილის დედები იყვნენ, მამად ასახელებდნენ ამა თუ იმ პირს, ვიღაც უცხოელს, რომელსაც ბავშვი უნდა გაეყვანა. სავარაუდოდ, შეიძლება რეესტრიც მოტყუებულიყო და სამშობიაროც.

ეს სუროგატები არიან ლონლაძე, მუღალაშვილი, ჯავაშვილი. მხოლოდ ამ სამს ვასახელებ, დანარჩენებზე ჯერ თავს ვიკავებ, მაინტერესებს, პროკურატურა დაასახელებს დანარჩენებს თუ დაფარავს. ამ ადამიანებმა აღიარეს, რომ მათ ემუქრებოდნენ, ამიტომ იძულებულნი გახდნენ დედებად დასახელებულიყვნენ და მითითებული მამაკაცი მამად დაესახელებინათ.

**— კონკრეტულად ვინ ემუქრებოდა?**

— იმ პერიოდში სუროგაციის სააგენტოს დირექტორი მაკა ლაბაური იყო (მანამდე ის ბ-ნ ბიძინა ივანიშვილთან მუშაობდა), გენერალური დირექტორი მარიამ კუკუნაშვილი. თუმცა, პროკურორის 2013 წლის 7 მაისის დადგენილებაში სააგენტოს რამდენიმე თანამშრომელია დასახელებული და მითითებულია, რომ მათ გააყალბეს ჩვილ ბავშვთა დოკუმენტები. დოკუმენტების გაყალბება, ანუ სსკ 362 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული 2012 წელს ამნისტირებული იყო, მაგრამ გაყალბებით არ დამთავრებულა დანაშაული. დანაშაული გაგრძელდა, ამ ყალბი დოკუმენტებით ბავშვები გააყვანინეს უცხოელ მამაკაცებს საზღვარგარეთ. ამიტომ ხელახლა აღიძრა საქმე, უკვე სსკ 344-ე პრიმა მუხლით, რაც საზღვარზე ყალბი დოკუმენტებით გადაყვანას გულისხმობს. ეს არ არის ამნისტირებული მუხლი და დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის შემთხვევაში, 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ყველა მტკიცებულება საქმეში დევს, ყველაფერი გამოძიებულია, ჩვენ თვითონ დავულაგეთ ყველა მთავარი მტკიცებულება პროკურატურას, აქვთ საზღვრის, კლინიკების, სამოქალაქო რეესტრის მონაცემები, მოწმეთა ჩვენებები და ამ სუროგაციის სააგენტოს ხელმძღვანელის მიერ ერთ-ერთ ჟურნალში მიცემული ინტერვიუც კი, სადაც ის აღიარებს, რომ ამ სქემით მარტო დიდ ბრიტანეთში 7 ბავშვი გაიყვანეს და ცდილობს, ეს გადააბრალოს ბრიტანეთის საელჩოს.

ბავშვები კიდევ ბევრ ქვეყანაშია გაყვანილი, მათ შორის, გერმანიაშიც, რომლის საკონსულოც სუროგატი ლონლაძის მიერ გაჩენილ ბავშვზე უკვე მიხვდა, რომ დოკუმენტები იყო ფალსიფიცირებული და უარი განაცხადა ბავშვის გაყვანისათვის საჭირო საბუთების გაცემაზე. ბავშვი შემდეგ სხვა გზით გაიყვანეს საქართველოდან. გერმანიის საკონსულოს მოსატყუებლად სუროგატ ლონლაძეს თავის კანონიერ ქმართან განქორწინებაც კი გააკეთებინეს.

**— სულ რამდენი ჩვილია გაყვანილი და რომელ წლებში?**

— შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტიდან მიღებული საზღვრის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2010-დან 2012 წლებში 20-ზე მეტი ასეთი ჩვილია გაყვანილი.

**— თქვენ ხომ არ ფლობთ ინფორმაციას, რა მდგომარეობაში არიან საზღვარგარეთ გაყვანილი ჩვილები, ან არიან თუ არა ისინი ცოცხლები?**

— არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ. პროკურატურას, ალბათ, გათვლილი აქვს, რომ ჩვენ ამ ბავშვების მისამართები არ გვაქვს, არც ის ვიცით, უცხოეთში რა მდგომარეობაში არიან, ვერასდროს მივაგნებთ. ამიტომაც უნდათ, მოახდინონ დანაშაულის გადაკვალიფიცირება ტრეფიკინგის მუხლით. როდესაც დავუდეთ ფაქტი ერთი შემთხვევის შესახებ და ვუთხარით, რომ მარტო ამ ერთზე ნუ აწარმოებდნენ გამოძიებას, რადგან იყო სხვა შემთხვევებიც, გვითხრეს,თუ კიდევ არის ასეთი შემთხვევები, მოგვაწოდეთო. მე უნდა ვაწვდიდე? სხვა სუროგატთა გვარები და კოორდინატებიც მივაწოდეთ. თვეების განმავლობაში ამ სუროგატთა დაკითხვაც კი არ ხდებოდა.

**— ჩვილები ახლაც გადაჰყავთ?**

— ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, უკვე ჩვილები კი არ გაჰყავთ ყალბი დოკუმენტებით, არამედ ხდება ორსული სუროგატების გაყვანა და ქალები იმავე სქემით ნებისმიერ ქვეყანაში მშობიარობენ.

**— უშუალოდ „ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი მარიამ კუკუნაშვილი გემუქრებოდათ? თქვენ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაც ახსენეთ, რატომ ფიქრობთ, რომ ისინი ბლოკავენ ამ საქმის გამოძიებას?**

— არანაირი გვარი და სახელი არ ეწერა, ეს იყო ანონიმური მუქარის წერილი. რაც შეეხება გამოძიების დაბლოკვას, მე ფაქტებით ვსაუბრობ, რაზეც აუდიოჩანაწერი მაქვს. ამ საქმის ერთ-ერთი ყოფილი გამომძიებელი გამომიტყდა, რომ ანზორ ჩუბინიძემ შეაჩერებინა საქმის გამოძიება. ამ აუდიოჩანაწერით ვერანაირად ვერ დავაინტერესე პროკურატურა. პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს რომ მივწერე ამ აუდიომასალის არსებობაზე, მეორე დღესვე თავად ჩუბინიძეს ჩაუვარდა ეს წერილი ხელში და დამირეკა. მერე ეს ზარი უარყო ჩუბინიძემ, თითქოს მე მოვიგონე. არადა, მაგთის დეტალური ამონაწერი ადასტურებს მის ზარს და იმასაც, რომ ეს იყო პირველი ზარი ჩვენს ტელეფონებს შორის. სწორედ ამაზე გაიმართება სასამართლო პროცესი 4 მარტს, 11 საათზე.

**— ჩუბინიძემ რომ დაგირეკათ, რა გითხრათ?**

— პირველ რიგში, რაც მითხრა, იყო ის, რომ პრემიერის სახელზე შეტანილი ჩემი წერილი, რომელიც მას ეხებოდა, ხელში ეჭირა. ამას მოაყოლა დანარჩენი სათქმელი და ყველა მისი სიტყვა კანონის ფარგლებიდან ძალიან შორს იყო. შემდგომ მან ეს ზარი უარყო ჟურნალისტებთან. მიკვირს, კაცმა, რომელიც მუშაობს სახელმწიფო დაცვის უფროსად, როგორ უნდა მოიტყუოს ის, რაზეც დოკუმენტები არსებობს. „მაგთის“ ამონაწერებს სად გაექცევა? მაშინ, როდესაც არსებობს ძალიან მყარი მტკიცებულებები სსკ 344-1 მუხლით ჩადენილ დანაშაულზე, დამნაშავეთა დაუსჯელობა უკვე გადასულია სახელმწიფოსა და სამართალდამცავი ორგანოების დანაშაულებრივ ქმედებაში. 7 თვეა, სოციალური კლიპი „ჩვილების საქმე“ გადის საქართველოს მთავარი სატელევიზიო არხებით და ამ კლიპში გაჟღერებული ტექსტით შერცხვენასაც უხმოდ იტანს მთავრობა, ნუთუ ასე ძვირფასია ეს კრიმინალები მათთვის? თუ რაიმეს მართალს არ ვამბობ, მაშინ მე შემედაონ.

For.ge **დაუკავშირდა აღნიშნული საქმის გამომძიებელს მალხაზ სამსონიშვილს. მან აღნიშნა, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ვერანაირ კომენტარს ვერ გააკეთებს, თუმცა, თუკი ბრალი გამოიკვეთება, კონკრეტული პირი მიეცემა პასუხისგებაში. მისი თქმით, გამოძიება მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში ცდილობს საქმის გახსნას.**

**მანანა ნოზაძე**

**შალვა წულეისკირი ოჯახით უდიდეს მწუხარებას გამოხატავს დიდი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის, ეროვნული დამოუკიდებლობის ამაგდარის, ქართული გენისა და სულის მესაიდუმლის**

**ნოდარ წულეისკირის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ქართულ მწერლობას და მასსავით გამორჩეულ მამულიშვილებს.**

## ინფორმაცია

### ფოთში მეთევზეებმა საპროტესტო აქცია გამართეს

**საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნით, ფოთელმა მეთევზეებმა აქცია გამართეს. მორიგი საპროტესტო აქცია მერიის ადმინისტრაციულ შენობასთან შედგა. მეთევზეები ე.წ. ქისა ბადით თევზაობის წესის წინააღმდეგ გამოდიან და მიიჩნევენ, რომ ეს შავი ზღვის აკვატორიის ფლორისა და ფაუნის განადგურებას იწვევს და ბრაკონიერობის ტოლფასია.**

**აქციის მონაწილეებმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განაცხადეს, რომ ე.წ. ქისა ბადით თევზაობა, რომელიც 300 მეტრის სიღრმეზე ვრცელდება, მხოლოდ თურქი მეთევზეებისთვის არის ხელსაყრელი და რამდენიმე წლის წინათ სწორედ მათთვის დაკანონდა ეს ცვლილებები.**

**ამ პრობლემების გარდა, მეთევზეების თქმით, არსებობს ტექნიკური ხარვეზები, რაც მათ მუშაობაში ხელს უშლის. ისინი სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ეკონომიკის სამინისტროების წარმომადგენლებთან შეხვედრას ითხოვენ და ამისთვის შუამდგომლობას ფოთის მერს სთხოვენ.**

### ცეცხლსასროლი იარაღი უპოვეს

**შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით ორი პირი დააკავა.**

**შსს-ს ინფორმაციით, სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული კახაბერ შ. და 1970 წელს დაბადებული, მრავალჯერ ნასამართლევი ზაზა შ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით თბილისში, გლდანის დასახლებაში დააკავეს.**

**გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).**

## ინფორმაცია

### სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გვაცნობებენ

**2015 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 694 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის იანვრის მაჩვენებელზე 9 პროცენტით ნაკლებია.**

**აქედან, ექსპორტი 156 მლნ. აშშ დოლარი იყო (30 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 538 მლნ. აშშ დოლარი (1 პროცენტით ნაკლები).**

**უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2015 წლის იანვარში 382 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 55 პროცენტი შეადგინა.**

**ინტერპრესი**

◉ დღესასწაული

# მირქმა (მიგებება) მაცხოვრისა

**15 თებერვალს საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს უდიდეს საეკლესიო დღესასწაულს — მირქმას (მიგებებას).**



უფალი ჩვენი, იესო ქრისტე ორმოცი დღის რომ შესრულდა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მისი დამწინდველი იოსები ტაძარში მივიდნენ.

წესისამებრ ახალნამშობიარევ დედას ორმოცი დღე არა აქვს უფლება ტაძარში შესვლისა, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვები. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვა არ სჭირდებოდა, რადგან ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც შეასრულა ღვთის კანონი.

სულიწმინდის მადლით ცხებული მართალი სვიმეონი მიეგება ტაძარში ჩვილით მისულ მარიამს და მართალ იოსებს. სვიმეონი იყო ერთ-ერთი 70 ებრაელთაგან (მეცნიერი), რომლებმაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნეს ბიბლია.

მართალ სვიმეონს წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა და, როცა მიუახლოვდა ადგილს, სადაც წერია: „ჰა მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“, ეგონა, რომ წიგნში გაპარული იყო შეცდომა, რადგანაც შეუძლებლად ჩათვალა, ქალწულს ეშვა ძე. სვიმეონმა განიზრახა ადგილის შეცვლა.

...სვიმეონს მოულოდნელად უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ვერ იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ ნახავ ქალწულისგან შობილ მაცხოვარს“.

იერუსალიმის ტაძარში მისულ მშობლებს მიყვანილი ჰყავდათ თავიანთი ბავშვები. 360 წლის სვიმეონმა ამ ბავშვებს შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიეგება: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მარებაი შენი“.

წმინდა სვიმეონთან ერთად მიგებებისას ტაძარში იმყოფებოდა 84 წლის ქვრივი ანა წინასწარმეტყველი, რომელიც მარხვითა და ლოცვით დღედაღამ განუშორებლად მსახურობდა ღვთის სახლში.

ანა წინასწარმეტყველმაც მრავალ ჩვილს შორის შეიცნო ძე ღვთისა და ებრაელებს ახარა უფლის განკაცება.

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ არა მხოლოდ მართალი სვიმეონი და წმინდა ანა გახდნენ უფლის მიგებების ღირსნი, არამედ ყოველ მორწმუნეს აქვს უფალთან შეხვედრის საშუალება, — და ეს ხდება ტაძარში აღსარებისა და ზიარების დროს!

უფალი იესო ქრისტე შედის ცოდვილ ადამიანში, რათა განწმინდოს იგი, მაგრამ პიროვნება მზად უნდა იყოს უფლის მისაღებად. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიის წიაღში.

მორწმუნე ადამიანები მხოლოდ ეკლესიის წიაღში, ტაძარში გრძნობენ სულიწმინდის მადლის შეხებას და მაცხოვრის სიყვარულისა და მისი ღვთაებრივი მოწყალების ქვეშ ყოფნას.

შეგეწიოთ ამ დღესასწაულის მადლი!

* * *

**15 თებერვალს ხორციელის კვირიაკე და საშინელი სამსჯავროს ხსენება.**

**გიული ლიპარტია**

◉ კადრი



# სკანვორდი



რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 29 9-62-77; 568 82-09-84.

◉ ცინცხალი ანეკდოტები

— ექიმო, ისე მეშინია, რომ არც კი ვიცი, რა სჯობს: კბილი გავიბურღო თუ ბავშვი გავაჩინო. — ეუბნება ახალგაზრდა ქალი სტომატოლოგს.

— თუ შეიძლება, სწრაფად გადაწყვიტეთ. უნდა ვიცოდე, რა კუთხით გადავხარო სავარძელი...

* * *

— თქვენთან შემთხვევით ჩემს ძაღლს ხომ არ შემოურბენია?

— მგონი, არა.

— მაცივარში შეიხედეთ.

— ტფუი! ცარიელია.

— ესე იგი, შემოურბენია.

* * *

— ნუთუ არ იცით, რომ კარის ჭუჭრუტანიდან თვალთვალი უწესობაა?

— რას მელაპარაკებით! ჭუჭრუტანიდან ყოველგვარი სისაძაგლის ჩვენება კი მოსაწონია?



* * *

— შეიძლება თუ არა, რომ ქალი იყოს გენიალური? — ეკითხებიან სომხეთის რადიოს.

— ქალი რთული არსებაა, ყველაფერი გენიალური კი მარტივია.

ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24